2024-2025

კურიკულუმი

სარჩევი

1. ევროპული საბავშვო ბაღის კურიკულუმი 1

2. კურიკულუმის ძირითადი კომპონენტები 2

3. ჩვენი ღირებულებები და სახელმძღვანელო პრინციპები 3

4. კურიკულუმის მიზნები 5

4.1 ურთიერთობა და ემოციური განვითარება 5

4.2 აღმოჩენა და შემოქმედება 7

4.3 გლობალური ცნობიერება 8

5. კურიკულუმის განხორციელების მეთოდები 10

5.1 თამაშით სწავლა 10

5.2 პროექტით სწავლება 12

6. საგანმანათლებლო პროცესის შინაარსი 14

6.1 წიგნიერება 16

6.2 ენობრივი და კომუნიკაციური უნარების განვითარება საბავშვო ბაღში 16

6.3 მეორე ენის სწავლება საბავშვო ბაღში 18

6.4 ხელოვნება (ემპათიის და გლობალური ხედვის განვითარება) 21

6.5 მეცნიერება 23

6.6 STEAM განათლება: მეცნიერებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება 28

6.7 დამატებითი განმავითარებელი აქტივობები საბავშვო ბაღის კურიკულუმში 31

7. რუტინა, ტრანზიცია და განრიგი 34

8. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა: ძირითადი პრინციპები და მიდგომები 34

9. დრო და განრიგი 36

10. ფიზიკური გარემო 38

11. დაკვირვება, რეფლექსია და პორტფოლიოს წარმოება 41

11.1 დაკვირვება 41

11.2 რეფლექსია 42

11.3 პორტფოლიოს წარმოება 42

11.4 რეფლექსური დღიური: საგანმანათლებლო პროცესის ანალიზის პრაქტიკული ინსტრუმენტი 43

11.5 მაგალითები დაკვირვების, რეფლექსიის და პორტფოლიოს გამოყენების პრაქტიკულობისთვის 45

12. წახალისების მეთოდები 46

13. აღმზრდელის როლი საბავშვო ბაღის კურიკულუმის განხორციელებაში 47

14. მშობელთა მონაწილეობა ბაღის საქმიანობაში 49

შეჯამება 51


EUROPEAN KINDERGARTEN
ევროპული საბავშვო ბაღი
ბავშვზე ორიენტირებულობა
ინდივიდუალობა
ინტერდისციპლინური სწავლა
ინოვაციური სწავლა
ინოვაციური სწავლა
ინოვაცი

2. კურიკულუმის ძირითადი კომპონენტები

კურიკულუმის საფუძვლად ითვლება ოთხი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტი:

1. **ვთამაშობთ:** თამაში როგორც სწავლების ძირითადი მეთოდი, რომელიც აერთიანებს ბავშვების კოგნიტურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.
2. **ვქმნით:** შემოქმედებითი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს იდეების გენერირებას და დამოუკიდებლობის განვითარებას.
3. **აღმოვაჩენთ:** კვლევაზე და ცნობისმოყვარეობაზე დაფუძნებული აქტივობები, რომლებიც ბავშვს ეხმარება სამყაროს შეცნობაში.
4. **ვსწავლობთ:** ცოდნის მიღებისა და გამოცდილების პრაქტიკაში გამოყენების პროცესი.

კურიკულუმი მოიცავს საგანმანათლებლო გარემოს ყველა ძირითად ელემენტებს: **დაგეგმვა** - **განხორციელება** - **შეფასება**, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურობას.

- **მიზნები, ამოცანები და შედეგები:** განსაზღვრავს, რა მიზნების მიღწევას ემსახურება კურიკულუმი და რა შედეგებს უნდა მივაღწიოთ.
- **შინაარსი და მიმართულებები:** აღწერს, რა შინაარსით და აქტივობებით მიიღწევა დასახული მიზნები.
- **მეთოდები და პროცედურები:** განმარტავს, როგორ ხორციელდება შინაარსობრივი კომპონენტები და რა მიდგომები გამოიყენება.
- **შეფასება:** ანალიზი, რომელიც აჩვენებს მიღწეულ პროგრესს და განვითარების მიმართულებებს.

კურიკულუმი ბავშვის განვითარებისა და სწავლის შესახებ შემდეგ მსოფლმხედველობასა და თეორიებს ეფუძნება:

- ***ურიე ბრონფენბრენერის ეკოლოგიური სისტემის თეორია*** *– ბავშვის განვითარებაზე სხვადასხვა ეკოლოგიური სისტემები ახდენს გავლენას. ბავშვის უშუალო სასწავლო გარემო ოჯახი, ბაღი და თემია და ამ სისტემების ურთიერთობებს გავლენა აქვს ბავშვის განვითარებაზე.*
- ***ჟან პიაჟეს კონსტრუქტივიზმი*** *– ცოდნა ბავშვის მიერ გარემოს აქტიური კვლევითა და ძიებით შენდება. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარებისთვის თამაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია. გარემოსთან ინტერაქცია არსებითია სამყაროს შესახებ ცოდნის აგებაში.*
- ***ლევ ვიგოტსკის სოციალური კონსტრუქტივიზმი*** *– ცოდნა სოციალური კონსტრუქტია. ბავშვსა და სოციალურ გარემოს შორის ურთიერთქმედება ცენტრალურია სწავლისთვის. მასწავლებლები*

ბავშვებს სწავლის ფორმირებასა და თანმიმდევრობაში ეხმარებიან და საშუალებას აძლევენ, სწავლის პიროვნული, კონკრეტული და ფიზიკური გამოცდილებიდან აბსტრაქტულ, ვერბალურ და ინტელექტუალურ წვდომაზე გადავიდნენ. ამ იდეოლოგიაში აღმზრდელი ცოდნის გადამცემი არ არის. ის ყურადღებით აკვირდება ბავშვებს და სწავლის მხარდამჭერ გარემოს ქმნის. წარმატებული ცხოვრებისთვის პრობლემის გადაჭრის გონებრივი და კულტურული ინსტრუმენტების დაუფლებაა მნიშვნელოვანი. ადრეულ და სკოლამდელ წლებში აღზრდისა და განათლების პროცესზე დაკვირვებისას ყურადღება გამახვილებულია ბავშვის განვითარების ფუნდამენტურ ასპექტებზე, როგორიცაა:

- ***ფიზიკური განვითარება*** *(უხეში და წვრილი მოტორული უნარები)*
- ***თვითრეგულირება*** *(აღმასრულებელი ფუნქცია და კოგნიტური კონტროლი) (Whitebread and all, 2009)*
- ***ენა, სიმბოლური სისტემები და გამოხატულება*** *(ენა, წიგნიერება და მათემატიკური ცნებები) (Barratt-Pugh, C and Rohl, M. 2000)*
- ***სოციალურ-ემოციური განვითარება*** *ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი (2023)*
- ***თამაში, როგორც სწავლის ყველაზე დომინანტური გზა მცირეწლოვანი ბავშვებისთვის -*** *აუცილებელია სკოლებმა ხაზგასმით მიაწოდონ სწავლის გამოცდილება ახალგაზრდა სტუდენტებისთვის თამაშის საშუალებით. (იოგმანი და ყველა, 2018)*
- ***სასწავლო გარემოს მნიშვნელოვანი როლი*** *- მისი როლი სწავლის წახალისებაში და მხარდაჭერაში. (OME, 2016)*
- ***მოსწავლის ინტერესისა და თავისუფალი არჩევანის მნიშვნელობა*** *- მცირეწლოვანი ბავშვების მონაწილეობა საგანმანათლებლო პროცესში. (Fullan and Langworthy, 2014; Fox, 2016)*
- ***ურთიერთობების მნიშვნელობა****- ბავშვები ერთმანეთთან, ბავშვები უფროსებთან, რომლებიც მათზე ზრუნავენ სკოლაში და ბავშვთა ურთიერთობები მათ ფართო საზოგადოებაში. (NSCDC, 2004)*

3. ჩვენი ღირებულებები და სახელმძღვანელო პრინციპები

ჩვენი კურიკულუმი ეფუძნება ღირებულებებსა და პრინციპებს, რომლებიც ქმნის ბავშვის ჰოლისტური განვითარების მყარ საფუძველს. აქცენტი გაკეთებულია თამაშზე, ინკლუზიურობაზე, შემოქმედებითობასა და გლობალურ მოქალაქეობაზე, რათა თითოეულმა ბავშვმა შეძლოს საკუთარი უნიკალური პოტენციალის სრულად გამოვლენა.

ჩვენი ღირებულებები

ბავშვზე ორიენტირებულობა
ჩვენ ვაღიარებთ, რომ თითოეული ბავშვი უნიკალურია. ჩვენი მიდგომა ეფუძნება ბავშვის შესაძლებლობების, ინტერესების და სწავლის ტემპის პატივისცემას, რათა თითოეულმა მათგანმა სრულად გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი.

ინკლუზიურობა
ჩვენ პატივს ვცემთ ბავშვების კულტურულ, სოციალური და ინდივიდუალურ თავისებურებებს და ვზრუნავთ თანაბარ შესაძლებლობებზე ყველასთვის.

პარტნიორობა
ოჯახისა და საზოგადოების აქტიური ჩართულობა ჩვენი პროგრამის საფუძველია. მჭიდრო თანამშრომლობა მშობლებთან და საზოგადოებასთან ქმნის გარემოს, სადაც ბავშვები მხარდამჭერ გარემოში იზრდებიან.

ეკოლოგიური ცნობიერება
ჩვენ ვასწავლით ბავშვებს ბუნების სიყვარულს და მოვლას. ეკოლოგიური პასუხისმგებლობის გაღვივება და გარემოს დაცვაზე ზრუნვა ჩვენი მთავარი პრიორიტეტია.

ციფრული უნარები და გლობალური მოქალაქეობა
თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უნარებთან ერთად, ბავშვებს ვასწავლით, იყვნენ პასუხისმგებლიანი და გლობალური საზოგადოების ცნობიერი წევრები, პატივისცემით მოეკიდონ კულტურულ მრავალფეროვნებას და ციფრულ ეთიკას.

ძირითადი პრინციპები

1. თამაში - სწავლის ძირითადი მეთოდი
თამაში არის ბავშვის ბუნებრივი განვითარების და სწავლების მთავარი საშუალება.

- თამაშის პროცესში ბავშვი ავითარებს სოციალურ, კოგნიტურ და ემოციურ უნარებს.
- თამაშის მეშვეობით ბავშვი სწავლობს სიამოვნებით და გრძნობებით.

2. ჰოლისტური განვითარება
ჩვენ ვზრუნავთ ბავშვის ყველა უნარის ჰარმონიულ განვითარებაზე.

- ფიზიკური, ემოციური, სოციალური და ინტელექტუალური უნარები თანაბრად ვითარდება.
- ჰოლისტური მიდგომა ქმნის საფუძველს ბავშვის მომავალი წარმატებისთვის.

3. შემოქმედებითი და ინკლუზიური მიდგომა
შემოქმედებითობის წახალისება და თანასწორი გარემოს შექმნა ჩვენი კურიკულუმის მთავარი პრინციპია.

- ყველა ბავშვს აქვს საშუალება გამოავლინოს საკუთარი უნარები და ფანტაზია.
- ინკლუზიური სწავლების მეშვეობით ბავშვები სწავლობენ ერთმანეთის პატივისცემას და თანამშრომლობას.

5. ოჯახისა და საზოგადოების ჩართულობა
მშობლებისა და საზოგადოების პარტნიორობა ბავშვის განათლების პროცესის განუყოფელი ნაწილია.

- ჩვენ ვქმნით კოორდინირებულ გარემოს, სადაც ბავშვი იღებს მხარდაჭერას.
- საერთო ღირებულებები აძლიერებს ბავშვის განვითარებას და მოტივაციას.

4. გლობალური და ეკოლოგიური ცნობიერების განვითარება
ჩვენ ვასწავლით ბავშვებს, როგორ უნდა იზრუნონ გარემოზე და გახდნენ მსოფლიო მოქალაქეები.

- ბავშვებს ვაცნობთ ეკოლოგიის, მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის პრინციპებს.
- ვზრდით ბავშვებში გლობალური თემების მიმართ ინტერესსა და პასუხისმგებლობას.

4. კურიკულუმის მიზნები

კურიკულუმის მიზნები სამ ძირითად მიმართულებას აერთიანებს:

- ურთიერთობა და ემოციური განვითარება
- აღმოჩენა და შემოქმედება
- გლობალური ცნობიერება

ურთიერთობა და ემოციური განვითარება

- გუნდური მუშაობა: ბავშვების ჩართულობა კოლაბორაციულ და სოციალურ აქტივობებში.
- ურთიერთპატივისცემა და ემპათია: თანაგრძნობისა და ზრუნვის უნარების განვითარება.
- თამაშის მეშვეობით სწავლება: სოციალური უნარების და კომუნიკაციის გაძლიერება.

აღმოჩენა და შემოქმედება

- ცნობისმოყვარეობის გაღვივება: ექსპერიმენტების, პროექტების და შემოქმედებითი აქტივობების საშუალებით.
- მრავალმხრივი განვითარება: ხელოვნების, მეცნიერების, წიგნიერებისა და სხვა სფეროების კვლევა და აღმოჩენა.
- პრობლემების გადაჭრა: ბავშვებს საშუალება აქვთ დასვან კითხვები, დაგეგმონ, შეაგროვონ ინფორმაცია და გააკეთონ დასკვნები.

გლობალური ცნობიერება

- თანასწორობა და მრავალფეროვნება: ბავშვებში პატივისცემისა და ტოლერანტობის განვითარება განსხვავებული კულტურებისა და ტრადიციების მიმართ.
- ეკოლოგიური ცნობიერება: ბუნების დაცვაზე ზრუნვის მნიშვნელობის გაცნობა.
- ციფრული უნარების განვითარება: თანამედროვე ტექნოლოგიებთან მუშაობის და უსაფრთხო ციფრული ქცევის ძირითადი პრინციპების სწავლება.

4.1 ურთიერთობა და ემოციური განვითარება

ურთიერთობის მნიშვნელობა

ურთიერთობა უზრუნველყოფს უსაფრთხო და მხარდამჭერ გარემოს, სადაც ბავშვები თავს კომფორტულად და დაფასებულად გრძნობენ. ასეთ პირობებში ბავშვები ივითარებენ სოციალურ და ემოციურ უნარებს, სწავლობენ თანამშრომლობას, თანატოლების მხარდაჭერას და გუნდური

წარმატების განცდას. ადრეული ასაკში ბავშვების იმპულსურობა საჭიროებს თვითრეგულაციის განვითარებას. საბავშვო ბაღი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ უნარის ჩამოყალიბებაში, რაც ემოციური სტაბილურობისა და სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას უწყობს ხელს.

თვითრეგულაციის გავლენა სოციალურ წარმატებაზე

თვითრეგულაციის უნარების განვითარება შეიძლება სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით. მაგალითად, ჯგუფური თამაშები, რომლებიც მოითხოვს წესების დაცვას და მოთმინებას, ხელს უწყობს ბავშვის ემოციური თვითრეგილაციის განვითარებას. აქტივობები, როგორიცაა ხატვა ან კონსტრუქციების შექმნა, ეხმარება ბავშვებს, ყურადღება გაამახვილონ კონკრეტულ დავალებებზე და განუვითარდეთ კონცენტრაციის უნარი. ასევე, როლური თამაშების დროს ბავშვები სწავლობენ საკუთარ ემოციებზე დაკვირვებას და მათი გამოხატვის მართვას. ამგვარი აქტივობები საშუალებას აძლევს ბავშვებს, განავითარონ სოციალური უნარები და უკეთ მოახდინონ ურთიერთობის დამყარება თანატოლებთან.

თვითრეგულაციის უნარების მქონე ბავშვები:

- უკეთესად ამყარებენ კავშირს თანატოლებთან.
- მეტად არიან ორიენტირებულები სწავლაზე და აღწევენ აკადემიურ წარმატებას.
- ავლენენ პროსოციალურ ქცევებს, რაც მათ სოციალურ წარმატებას განაპირობებს.

სოციალური კომპენტენცია მოიცავს:

- პოზიტიური ურთიერთობების შექმნას: ჰარმონიული და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას.
- ეთიკურ ქცევას: სოციალური ნორმების დაცვას და სწორი გადაწყვეტილებების მიღებას.
- ემპათიის განვითარებას: სხვათა ემოციებისა და შეხედულებების გაგებას და პატივისცემას.

ეფექტური კომუნიკაცია და ენობრივი უნარები ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას:

- აქტიურად ჩაერთონ ჯგუფურ აქტივობებში.
- თავისუფლად გამოხატონ იდეები და გრძნობები.
- მართონ კონფლიქტები და მიიღონ გააზრებული გადაწყვეტილებები.

ურთიერთობა აყალიბებს მყარ საფუძველს ბავშვის სოციალურ, ემოციურ და აკადემიურ განვითარებაში. ის აძლიერებს თვითშეფასებას, ემპათიას და სოციალურ უნარებს, რაც მნიშვნელოვანია ბავშვის წარმატებისთვის.

4.2 აღმოჩენა და შემოქმედება

აღმოჩენა და შემოქმედება წარმოადგენს ბავშვის მრავალმხრივი განვითარების საფუძველს, რაც სხვადასხვა უნარების გაერთიანების და გაღრმავების საშუალებას იძლევა. ეს მიდგომა ბავშვების ცნობისმოყვარეობას აღვივებს და ხელს უწყობს მათი შემოქმედებითი და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებას.

კვლევა

კვლევის და აღმოჩენის პროცესები მოიცავს ხელოვნებას, წიგნიერებას, მეცნიერებას და სხვა დისციპლინებს, რაც ბავშვს აძლევს შესაძლებლობას, დააკვირდეს, ექსპერიმენტები ჩაატაროს, გამოიგონოს და ახალი ცოდნა მიიღოს.

კვლევის და აღმოჩენის როლი ბავშვის განვითარებაში

კვლევა და აღმოჩენა არის პროცესზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც ბავშვის ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას გარდაქმნის კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარების წყაროდ. ეს მიდგომა ეხმარება ბავშვს, განავითაროს კოგნიტური, სოციალური და ემოციური კომპეტენციები, რაც მისი ჰოლისტური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია.

ცნობისმოყვარეობის წახალისება

ბავშვებში შეგრძნებების სტიმულირება (სმენა, ყნოსვა, შეხება, გემო და ხედვა) ცნობისმოყვარეობის გაღვივების საფუძველია. მათი ცნობისმოყვარეობის წახალისება შესაძლებელია შემდეგი აქტივობებით:

- კვლევისა და აღმოჩენის კუთხეები: შექმნილია სხვადასხვა თემატიკაზე (მაგ., ბუნება, მეცნიერება, ხელოვნება), სადაც ბავშვებს შეუძლიათ თავისუფლად შეისწავლონ მასალები და ობიექტები.
- ექსპერიმენტული თამაშები: წყლის, ქვიშის, სხვადასხვა მასალის გამოყენებით ბავშვები სწავლობენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს.
- ინტერაქციული კითხვები: აღმზრდელები სვამენ ღია კითხვებს, როგორიცაა: "როგორ ფიქრობ, რა მოხდება, თუ...?", რაც ხელს უწყობს ბავშვებში ფიქრის, ვარუდებისა და ახალი იდეების განვითარებას.
- საგანმანათლებლო ვიზიტები: მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში ან ბუნებაში მოგზაურობა, რაც ბავშვებს რეალურ სამყაროსთან უშუალო კავშირს უქმნის და ინტერესს აძლიერებს.

მრავალფეროვანი მასალები და აქტივობები ბავშვს ეხმარება სამყაროს უკეთ შეცნობაში. აღმზრდელები იყენებენ დაკვირვებას, ობიექტებზე მანიპულირებას, ექსპერიმენტირებას და ღია კითხვების დასმას, რაც ხელს უწყობს ბავშვის ინტერესის გაღვივებას და მათ აქტიურ ჩართულობას კვლევის პროცესში.

უნარების განვითარება კვლევის პროცესში

კვლევის საშუალებით ბავშვები იძენენ უნარებს, რომლებიც მათი კოგნიტური და სოციალური განვითარების საფუძველია:

- მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება.
- საგნების დახარისხება სხვადასხვა ნიშნით (ზომა, ფერი, ფორმა, წონა, რაოდენობა).
- ანალიზი და კრიტიკული აზროვნება.
- საკუთარი შეხედულებებისა და ვარაუდების ჩამოყალიბება.

შემოქმედებითი უნარების განვითარება

შემოქმედებითი უნარების განვითარება ბავშვებში ფართო შესაძლებლობებს ქმნის. სხვადასხვა ხელოვნების დისციპლინების ინტეგრაცია ხელს უწყობს ამ უნარების კიდევ უფრო გაღრმავებას. მაგალითად, ვიზუალური ხელოვნების დროს ბავშვები ივითარებენ სიმბოლურ აზროვნებას და გამოხატავენ საკუთარ ხედვებს ნახატების, ქანდაკებების ან აპლიკაციების მეშვეობით. მუსიკის ინტეგრაცია აძლიერებს ბავშვის ემოციურ ინტელექტს და უწყობს ხელს მათ წარმოსახვის გაფართოებას. დრამატული თამაშები ეხმარება ბავშვს საკუთარი ემოციებისა და ფიქრების გამოხატვაში, ხოლო ლიტერატურული აქტივობები, როგორიცაა ზღაპრების შექმნა და გადათარგმნა, აძლიერებს მის ენობრივ და კოგნიტიურ უნარებს.

- **სიმბოლური აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარები:** ბავშვები სწავლობენ იდეების დაკავშირებას და მათი რეალიზაციის გზებს.

- **მეორადი და ბუნებრივი მასალების გამოყენება:** ბავშვები ქმნიან კონსტრუქციებს და გამოხატავენ საკუთარ შემოქმედებით ხედვას.

- **ზღაპრების ინტერპრეტაცია და როლური თამაშები:** ისინი სწავლობენ ემოციებისა და აზრების გამოხატვას ინტერაქციული ფორმით.

- **მუსიკა, მოძრაობა და დრამატული თამაშები:** ეს აქტივობები ხელს უწყობს თავისუფალი თვითგამოხატვის გაძლიერებას.

ასეთი მრავალმხრივი მიდგომა ხელს უწყობს ბავშვის ინდივიდუალური ნიჭის გამოვლენას და მის ჰოლისტურ განვითარებას.

4.3 გლობალური ცნობიერება

გლობალური ცნობიერება ბავშვებს ეხმარება გახდნენ ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი მსოფლიო მოქალაქეები. მისი მიზანია მრავალფეროვნების, ეკოლოგიური ცნობიერებისა და ტექნოლოგიური განვითარებისთვის აუცილებელი უნარების ფორმირება. ამ გზით ბავშვები სწავლობენ სხვა ქვეყნის კულტურის პატივისცემას, გარემოს დაცვას და ციფრული გარემოს ეთიკურ გამოყენებას.

გლობალური ცნობიერება სკოლამდელ ასაკში

გლობალური ცნობიერება მოიცავს ბავშვების აღზრდას ისეთი ღირებულებებითა და უნარებით, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს, იყვნენ ცნობიერნი, ემპათიურნი და პასუხისმგებლიანი გლობალურ საზოგადოებაში.

სკოლამდელ ასაკში გლობალური ცნობიერების პრინციპები მოიცავს:

- მრავალფეროვნების პატივისცემა: ბავშვები სწავლობენ სხვადასხვა კულტურის, ტრადიციის და ენის პატივისცემას, რაც ხელს უწყობს თანასწორობის აღქმასა და სოციალური ინტეგრაციის უნარის განვითარებას.
- ეკოლოგიური ცნობიერება: ბავშვები ეცნობიან ბუნების დაცვის მნიშვნელობას და მდგრადი განვითარების პრინციპებს, რაც მათ პასუხისმგებლიან მიდგომას უვითარებს გარემოს მიმართ.
- თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა: თამაშებისა და კოლაბორაციული აქტივობების საშუალებით, ბავშვი სწავლობს, როგორ იმუშაოს გუნდურად, გაიზიაროს პასუხისმგებლობა და პატივი სცეს სხვათა აზრს.

ციფრული უნარების განვითარება გულისხმობს ბავშვებში ტექნოლოგიების სწორად და უსაფრთხოდ გამოყენების ჩვევების ჩამოყალიბებას:

- ტექნოლოგიებთან პირველი ნაბიჯები: მარტივი ციფრული ხელსაწყოების გამოყენება, რაც ხელს უწყობს ბავშვის შემოქმედებით და შემეცნებით განვითარებას.
- ციფრული უსაფრთხოების საფუძვლები: ბავშვს ასწავლის, როგორ გამოიყენოს ციფრული ტექნოლოგიები პასუხისმგებლიანად და უსაფრთხოდ.
- საინტერესო და სასარგებლო რესურსების აღმოჩენა: საგანმანათლებლო აპლიკაციები და ციფრული აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვის უნარებისა და ცოდნის გაღრმავებას.

განათლებაში გამოყენება

- თემატური აქტივობები: აქტივობები, რომლებიც აერთიანებს განსხვავებული კულტურების შესწავლას და ციფრული რესურსების გამოყენებას, ბავშვს საშუალებას აძლევს გაეცნოს მსოფლიო მრავალფეროვნებას. ეს მიდგომა აძლიერებს ბავშვის ცოდნას და ღირებულებებს, ხელს უწყობს კულტურათა შორის პატივისცემის ჩამოყალიბებას.
- საგანმანათლებლო თამაშები: თამაშები, რომლებიც მიზნად ისახავს ემპათიის, თანამშრომლობისა და სოციალურ უნარების განვითარებას. ბავშვები გუნდური აქტივობების დროს სწავლობენ ურთიერთპატივისცემას, პასუხისმგებლობას და გუნდურ მუშაობას.
- როლური თამაშები: ინტერაქციული როლური თამაშები, რომლებიც ბავშვებს აცნობენ გლობალური ცნობიერების მნიშვნელობას რეალურ ცხოვრებაში. ამგვარი თამაშები ეხმარება ბავშვებს პასუხისმგებლიანი ქცევის, ემპათიის განვითარებას და სოციალური ცნობიერების ამაღლებაში.

5. კურიკულუმის განხორციელების მეთოდები

კურიკულუმის მიზნებისა და ღირებულებების რეალიზება ბავშვის ბუნებრივი ინტერესებისა და უნარების გათვალისწინებით, თამაშისა და პრაქტიკული სწავლების გამოყენებით მიიღწევა. ამ პროცესში მთავარ როლს ასრულებს **თამაში**, რომელიც ბავშვის სოციალური, ემოციური, ფიზიკური და კოგნიტური განვითარების მძლავრი ინსტრუმენტია.

5.1 თამაშით სწავლა

თამაში ბავშვების სწავლის ყველაზე ბუნებრივი და ეფექტური საშუალებაა.

- ის ხელს უწყობს ბავშვის სოციალურ ურთიერთობებს, ემოციური რეგულაციას და ფიზიკურ განვითარებას.
- მრავალფეროვანი აქტივობები აღძრავს ბავშვების ცნობისმოყვარეობას და ხელს უწყობს მათ პროცესში აქტიურ ჩართულობას.
- თამაშის პროცესში ბავშვები სწავლობენ დაგეგმვას, ინსტრუქციების დამახსოვრებას, დავალებების შესრულებას და ახალი იდეების გენერირებას.

თამაშის მეშვეობით ბავშვებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა, იკვლიონ მათთვის მნიშვნელოვანი თემები, განავითარონ კრეატიულობა და ისწავლონ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

თამაშის მნიშვნელობა სოციალურ და ემოციურ განვითარებაში

თამაში ბავშვს ეხმარება:

- **ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში:** თამაშის მეშვეობით ბავშვები სწავლობენ თანამშრომლობას, თანაგრძნობას და გუნდურ მუშაობას.
- **ემოციურ სტაბილურობაში:** დადებითი ემოციები და სიხარული, რომელიც თამაშს მოაქვს, ხელს უწყობს ბავშვის კეთილდღეობას.
- **თვითშეფასებისა და თავდაჯერებულობის განვითარებაში:** თამაშის წარმატებით დასრულება ან მის პროცესში გამოწვევების დაძლევა ბავშვს აძლიერებს.

თამაშის დაგეგმვა

თამაშის ეფექტურობისთვის აუცილებელია სწორი დაგეგმვა.

- პროცესში დაცული უნდა იყოს ბავშვის და აღმზრდელის მიერ ინიცირებულ აქტივობებს შორის თანაფარდობა.
- ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები ქმნის შინაგან მოტივაციას, რაც მის აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფს.
- აღმზრდელის მიერ ინიცირებული აქტივობები მიზანმიმართულად მორგებულია ბავშვის უნარებსა და საჭიროებებზე.
- აქტივობების დაგეგმვისას აუცილებელია ბავშვების ინტერესების, შესაძლებლობებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება.

თამაშის ძირითადი მახასიათებლები

თამაშის სწორად გამოყენებისთვის მის ძირითად მახასიათებლებს უნდა მივაქციოთ ყურადღება:

1. **დადებითი ემოციები:** თამაში ბავშვს უნდა ჰგვრიდეს სიხარულს და ბედნიერებას.
2. **პროცესის მნიშვნელობა:** აქცენტი უნდა გაკეთდეს პროცესზე და არა შედეგზე.
3. **თავისუფალი არჩევანი:** ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება, თავად გადაწყვიტოს, რაში და როგორ მიიღოს მონაწილეობა.
4. **შინაგანი მოტივაცია:** თამაშისადმი ინტერესის გასაღვივებლად არ არის საჭირო გარე წახალისება.
5. **არარეალურ სამყაროში გადასვლა:** თამაში ბავშვებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ წარმოსახვა და შემოქმედებითობა.

თამაშის ტიპები

სწავლის პროცესში ბავშვების ჩართულობის გასაზრდელად გამოყენებული უნდა იყოს მრავალფეროვანი თამაშები:

- **დრამატული თამაშები:** ბავშვს აძლევს შესაძლებლობას, განასახიეროს სხვადასხვა როლი და გაითამაშოს ცხოვრებისეული სიტუაციები.
- **შემოქმედებითი თამაშები:** მოიცავს ხელოვნებას, მუსიკას, ცეკვას, ხატვასა და ძერწვას.
- **კვლევითი თამაშები:** ექსპერიმენტული აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს კვლევის უნარების განვითარებას.
- **სენსორული თამაშები:** ორიენტირებულია შეგრძნებების სტიმულირებაზე.
- **სამაგიდო თამაშები:** ხელს უწყობს წესების დაცვას და კოგნიტური უნარების განვითარებას.
- **მოძრავი თამაშები:** განავითარებს მსხვილ მოტორულ უნარებს.
- **მანიპულაციური თამაშები:** მიზნად ისახავს ფიზიკური უნარების გაუმჯობესებას საგნებით მანიპულირების გზით.
- **კონსტრუქციული თამაშები:** კუბურებითა და სხვა მასალებით კონსტრუქციების შექმნა.

სტრატეგიები თამაშისა და სწავლების მხარდასაჭერად

აღმზრდელი თამაშის პროცესში ასრულებს ფასილიტატორის როლს და ხელს უწყობს ბავშვის ჩართულობას.
ეფექტური სტრატეგიებია:

- ბავშვებთან აქტიური დიალოგი: საუბარი მათი ინტერესებისა და იდეების შესახებ.
- ფიქრისა და თვითგამოხატვის წახალისება.
- ვერბალური უკუკავშირი: ბავშვის მიღწევების აღნიშვნა და მისი უნარების გამყარება.
- აქტივობების სწორად მართვა: ბავშვის უნარებზე მორგებული აქტივობების შეთავაზება.

თამაშის ხელშეწყობა და ანალიზი

- ხელშეწყობა: აღმზრდელები ქმნიან ინკლუზიურ, უსაფრთხო გარემოს, სადაც ბავშვები თავისუფლად იკვლევენ და თამაშობენ.
- ანალიზი: თამაშზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაცია გამოიყენება მომავალი აქტივობების დაგეგმვისთვის.

თამაშის გავლენა განვითარებაზე

თამაში არის ბავშვის ჰოლისტური განვითარების მთავარი საშუალება.

თამაში აერთიანებს სწავლას და სიამოვნებას, რაც ქმნის ბავშვისთვის ყველაზე ბუნებრივ და შედეგიან სასწავლო გარემოს.

- ეხმარება ბავშვს სამყაროს გაცნობაში, ფანტაზიისა და კრეატიულობის განვითარებაში.
- ხელს უწყობს სოციალური, ემოციური და კოგნიტური უნარების ჩამოყალიბებას.
- ამზადებს ბავშვებს აკადემიური და ცხოვრებისეული გამოწვევებისთვის.

5.2 პროექტით სწავლება

პროექტზე დაფუძნებული სწავლება არის ინოვაციური და პრაქტიკაზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც აერთიანებს ცოდნასა და პრაქტიკულ ქმედებას. მისი მიზანია, დაეხმაროს ბავშვებს კონკრეტული საკითხის სიღრმისეულად შესწავლაში, გაუმყაროს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება და გააძლიეროს მათი სოციალური უნარები.

პროექტის მნიშვნელობა და უპირატესობები

1. **ცოდნისა და გამოცდილების კომბინაცია:**
   ბავშვები თავიანთ გამოცდილებაზე დაყრდნობით იძენენ ახალ ცოდნას და ავითარებენ უნარებს, რომლებიც რეალურ ცხოვრებაში გამოიყენება.
2. **კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება:**
   პროექტებზე მუშაობისას ბავშვები სწავლობენ პრობლემების კრეატიულად გადაჭრასა და ახალი იდეების გენერირებას.
3. **თანამშრომლობითი სწავლება:**
   პროექტები ხელს უწყობს გუნდურ მუშაობასა და კომუნიკაციის უნარების განვითარებას.
4. **სოციუმში ინტეგრაცია:**
   ბავშვები ივითარებენ უნარებს, რომლებიც ხელს უწყობს მათ საზოგადოებაში წარმატებულ ინტეგრაციას.
5. **საინტერესო და ინტერაქციული გარემო:**
   პროექტით სწავლება ბავშვებისთვის საინტერესო და მოტივაციის ამაღლების ეფექტური საშუალებაა.

პროექტის წარმატებული განხორციელების პირობები

1. **საკითხის კავშირი რეალურ გამოცდილებასთან:**
   ბავშვები უკეთ ერთვებიან პროცესში, თუ პროექტი მათ ყოველდღიურ გამოცდილებას ეყრდნობა.
2. **სასწავლო მიზნების გათვალისწინება:**
   პროექტი ხელს უწყობდეს მეტყველების, ფიზიკური და შემეცნებითი უნარების განვითარებას.
3. **რესურსების ხელმისაწვდომობა:**
   მრავალფეროვანი რესურსები, როგორიცაა ვიზიტები და სპეციალისტებთან შეხვედრები, ამდიდრებს შემეცნებით პროცესს.

4. **მრავალფეროვანი აქტივობები:**
   პროექტი აერთიანებს სხვადასხვა ტიპის საქმიანობას, რათა ბავშვებმა განსხვავებული უნარები განავითარონ.
5. **ინფორმაციის პირველწყაროდან მიღება:**
   უშუალო გამოცდილება, როგორიცაა შეხება, დაკვირვება და ექსპერიმენტი, პროექტს მეტად ეფექტურს ხდის.

პროექტზე მუშაობის ეტაპები

პროექტზე დაფუძნებული სწავლება მოიცავს სამ ძირითად ეტაპს:

I ეტაპი: თემის შერჩევა და კითხვების ფორმულირება

- **თემის შერჩევა:**
  თემა უნდა იყოს შერჩეული ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით, მარტივი და გასაგები.
- **მოსამზადებელი პროცესი:**
  - აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს, გაარკვიონ, რა იციან კონკრეტულ საკითხზე და რა აინტერესებთ.
  - ბავშვების მოსაზრებების შეკითხვების სახით ჩამოყალიბება, რაც განსაზღვრავს პროექტის მიმართულებას.

II ეტაპი: კვლევა

მეორე ეტაპი მოიცავს აქტიურ კვლევას, სადაც ბავშვები საკუთარ კითხვებზე პასუხებს ეძებენ ექსპერიმენტებისა და პრაქტიკული აქტივობების საშუალებით.

მნიშვნელოვანი აქტივობები:

- **ექსკურსიები:**
  - თემასთან დაკავშირებული ადგილების მონახულება, რაც ამდიდრებს ბავშვების ცოდნას.
- **ფიზიკური გარემოს ცვლილება:**
  - სასწავლო გარემოს მოდიფიკაცია თემის შესაბამისად.
- **საინტერესო მასალების შეთავაზება:**
  - მასალები, რომლებიც შთააგონებს ბავშვებს.
- **ექსპერიმენტები:**
  - პრაქტიკული ცდები და კვლევები ბავშვების ინტერესის გაღვივებისთვის.
- **სპეციალისტების ან მშობლების ჩართულობა:**
  - თემატური ექსპერტების მოწვევა, რაც მრავალფეროვანს ხდის პროცესს და აღრმავებს ცოდნას.

III ეტაპი: პრეზენტაცია და შეჯამება

ბოლო ეტაპზე ბავშვები აჯამებენ პროექტის შედეგებს და წარმოგვიდგენენ საკუთარ ნამუშევრებს.

შეჯამებისა და პრეზენტაციის ფორმები:

- **ნამუშევრების გამოფენა:**
  - ბავშვების მიერ შექმნილი ნამუშევრების წარმოდგენა.

- **როლური თამაშები:**
  - თემატური ინსცენირებები, სადაც იყენებს მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას.
- **პოსტერები:**
  - პროექტის შეჯამება ვიზუალური მასალების გამოყენებით.

6. საგანმანათლებლო პროცესის შინაარსი

6.1 წიგნიერება

წიგნიერება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის ცნობისმოყვარეობის, კვლევითი უნარების, შემოქმედებითი შესაძლებლობებისა, სოციალური და ემოციური უნარების განვითარებაში. ეს პროცესი არა მხოლოდ ცოდნის მიღებას უწყობს ხელს, არამედ უზრუნველყოფს ბავშვის სოციალური, ემოციური და შემოქმედებითი უნარების გაძლიერებას.

***წიგნიერების როლი სკოლამდელ განათლებაში**:*

- ის აერთიანებს ცოდნას, შემოქმედებითობასა და ციფრულ უნარებს.
- წიგნებთან ურთიერთობა ბავშვს ეხმარება კვლევისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში, სოციალური უნარების გაუმჯობესებასა და ემოციური ინტელექტის გაღრმავებაში.
- წიგნიერების პროცესში ინტერაქციული მეთოდებისა და ტექნოლოგიების ინტეგრაცია ქმნის ბავშვის ჰოლისტური განვითარების მყარ საფუძველს.

1. ცნობისმოყვარეობის გაღვივება

წიგნებთან ურთიერთობა ბავშვში ცნობისმოყვარეობის გაღრმავებას უწყობს ხელს:

- **პერსონაჟებისა და სიუჟეტის ანალიზი:**
  კითხვისას აღმზრდელი ბავშვის ყურადღებას მიმართავს პერსონაჟების ქცევებზე, ილუსტრაციებსა და სიუჟეტის განვითარების ვარაუდებზე.
- **კითხვების დასმა:**
  ბავშვებს ეძლევათ შესაძლებლობა, დასვან კითხვები და ივარაუდონ მომავალი მოვლენები, რაც ხელს უწყობს ახალი ინფორმაციის აღმოჩენასა და სამყაროს უკეთ შეცნობას.
- **ახალი იდეების აღმოჩენა:**
  წიგნები ბავშვს აცნობენ ახალ პერსპექტივებს და თემებს, რაც მათ ცნობისმოყვარეობას აძლიერებს.

2. კვლევითი უნარების განვითარება

წიგნიერება ბავშვის **კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების** განვითარების ძირითადი ინსტრუმენტია:

- **ინფორმაციის ძიება და გაანალიზება:**
  ბავშვები სწავლობენ პერსონაჟების ქცევების შედარებასა და სიუჟეტების გაანალიზებას.
- **ჰიპოთეზების ფორმირება:**
  სიუჟეტთან დაკავშირებით კითხვებს სვამენ და ვარაუდებს გამოთქვამენ.

- **დასკვნების გამოტანა:**
  კითხვის პროცესში ბავშვები სწავლობენ დასკვნების გამოტანასა და მიღებული ცოდნის სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენებას.

3. შემოქმედებითი უნარების განვითარება

წიგნები და მათი სიუჟეტები ბავშვის **შემოქმედებითი უნარების გაღვივების** იდეალური საშუალებაა:

- **პერსონაჟების განსახიერება:**
  ბავშვები თამაშობენ სცენებს წიგნებიდან და ახლებურად წარმოსახავენ სიუჟეტს.
- **ინტერპრეტაცია და ახალი ამბების შექმნა:**
  წიგნით შთაგონებული ბავშვები ქმნიან ახალ ამბებსა და ინტერპრეტაციებს.
- **ხელოვნების ინტეგრაცია:**
  ბავშვები ხატავენ, აკეთებენ აპლიკაციებს ან თოჯინებს, რაც წიგნის სიუჟეტებთანაა დაკავშირებული.

4. სოციალური უნარების განვითარება და ჯგუფის ერთიანობა

წიგნი ხელს უწყობს ბავშვებში ჯგუფური მუშაობისა და ემპათიის უნარების განვითარებას:

- **გუნდური კითხვა და დისკუსიები:**
  ბავშვები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს და ერთად განიხილავენ პერსონაჟებსა და სიუჟეტებს.
- **სოციალური უნარების გაძლიერება:**
  პერსონაჟების ქცევის ანალიზი და მათი ემოციების განხილვა ხელს უწყობს ემპათიისა და ურთიერთგაგების განვითარებას.
- **თემატური განხილვები:**
  წიგნის თემებზე მსჯელობა, მაგალითად, როგორიცაა მეგობრობა და თანაგრძნობა, ეხმარება ბავშვებს, გაიგონ ერთმანეთის პერსპექტივები და ემოციები.

5. წიგნიერება და სოციალურ-ემოციური თვითცნობიერების განვითარება

წიგნების დახმარებით ბავშვები სწავლობენ **ემოციების ამოცნობას, მართვასა და კომუნიკაციური უნარების გაუმჯობესებას**:

- **ემოციების ლექსიკა:**
  ბავშვები სწავლობენ გრძნობების გამოხატვასა და აღწერას.
- **ემპათიის გაძლიერება:**
  პერსონაჟების ქცევებისა და ემოციების განხილვა ბავშვებს ეხმარება ერთმანეთის გაგებასა და თანაგრძნობაში.
- **ინტერაქციული რესურსები:**
  პოსტერები, ნახატები და ვიდეოები ბავშვებს ეხმარება სოციალურ-ემოციური საკითხების უკეთ აღქმაში.

6. სტრატეგიები და მეთოდები წიგნიერების განვითარებისთვის

ინტერაქციული მიდგომები:

- **ღია კითხვები:**
  ღია კითხვების დასმა პერსონაჟებსა და სიუჟეტზე ხელს უწყობს ბავშვების ჩართულობას დისკუსიის პროცესში.
- **თოჯინები და ვიზუალური მასალა:**
  თოჯინებისა და ილუსტრაციების გამოყენება "ცოცხალ" გამოცდილებას ქმნის ბავშვებისთვის.
- **სიუჟეტური თამაშები:**
  ბავშვები თამაშობენ სცენებს ნაცნობი წიგნებიდან ან ქმნიან ახალ ისტორიებს.

კრეატიული აქტივობები:

- პერსონაჟების ხატვა ან მოდელირება.
- წიგნის სიუჟეტის მიხედვით სამაგიდო თამაშებისა და ფაზლების შექმნა.

ციფრული წიგნიერება:

- **აუდიოწიგნების და ციფრული რესურსების გამოყენება:**
  ბავშვები ეცნობიან თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს და სწავლობენ მათ გამოყენებას.

7. წიგნიერება და გლობალური, ციფრული მოქალაქეობა

წიგნი ხელს უწყობს ბავშვებში **გლობალური და ციფრული უნარების** განვითარებას:

- **კულტურული მრავალფეროვნება:**
  სხვადასხვა თემატიკის წიგნები ბავშვებს აცნობენ განსხვავებულ კულტურებსა და მათ ცხოვრების წესს.
- **ციფრული ტექნოლოგიების ჩართვა:**
  აუდიოწიგნები და ციფრული პლატფორმები ეხმარება ბავშვებს, გახდნენ პასუხისმგებლიანი ციფრული მოქალაქეები.

8. წიგნიერება STEAM განათლებაში

წიგნების გამოყენება STEAM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, ხელოვნება, მათემატიკა) უნარების განვითარებისთვის:

- **თოჯინებისა და დიორამების შექმნა:**
  წიგნის სიუჟეტის ვიზუალიზაცია და პერსონაჟების მოდელირება.
- **LEGO-ს გამოყენება:**
  წიგნებში აღწერილი სცენების რეკონსტრუქცია.
- **მეცნიერული ექსპერიმენტები:**
  წიგნის შინაარსთან დაკავშირებული მარტივი ექსპერიმენტების ჩატარება.

6.2 ენობრივი და კომუნიკაციური უნარების განვითარება საბავშვო ბაღში

ენობრივი და კომუნიკაციური უნარების განვითარება საბავშვო ბაღში ბავშვის ჰოლისტური განვითარების საფუძველია. ეს პროცესი ემსახურება სოციალიზაციას, ზეპირი და წერითი უნარების გაძლიერებას, კულტურათაშორისი ცნობიერების ამაღლებასა და კრიტიკული აზროვნების

ფორმირებას. ის ეფუძნება მრავალენოვნებისა და ინკლუზიურობის პრინციპებს, რაც ეხმარება ბავშვებს ადაპტაციის უნარის განვითარებაში და ამზადებს მათ გლობალური გამოწვევებისთვის.

მიზნები

1. **ენობრივი უნარების გაღრმავება**

- ახალი სიტყვებისა და ფრაზების ათვისება მრავალენოვან გარემოში ლექსიკური მარაგის გასაზრდელად.
- ყოველდღიურ საუბრებში მიღებული ცოდნის ინტეგრაცია კომუნიკაციის ეფექტურობისთვის.

2. **კულტურათაშორისი ცნობიერების ამაღლება**

- სხვადასხვა კულტურის ტრადიციებისა და ენების გაცნობა ტოლერანტობისა და პატივისცემის განვითარების მიზნით.
- კულტურული მრავალფეროვნებისადმი ღიაობის ჩამოყალიბება.

3. **ზეპირი და წერითი კომუნიკაციის განვითარება**

- ზეპირი კომუნიკაციის უნარების ჩამოყალიბება, რაც ხელს უწყობს აზრების მარტივად გადმოცემას.
- წერითი უნარების გაუმჯობესება მარტივი ასოებისა და სიტყვების საშუალებით.

4. **სოციალური უნარების განვითარება**

- გუნდური მუშაობის ხელშეწყობა და თანატოლებთან ეფექტური კომუნიკაცია.
- ემპათიის, ურთიერთგაგებისა და კონფლიქტების კონსტრუქციულად გადაწყვეტის უნარების ჩამოყალიბება.

აქტივობები და სტრატეგიები

1. **ენობრივი უნარები**
   - ლექსიკური მარაგის გამდიდრება ზღაპრების მოყოლისა და სიტყვების თამაშებით.
   - ზეპირი მეტყველების გაძლიერება ყოველდღიური სიუჟეტური აქტივობებით.
   - მარტივი წინადადებების ფორმულირება და მათი სწორად გამოყენება კონტექსტში.
2. **კომუნიკაციური უნარები**
   - მოსმენის უნარების განვითარება ზღაპრებისა და მოთხრობების დახმარებით.
   - აზრების გამართულად გამოხატვა და სხვისი მოსაზრებების გაგება.
   - კონსტრუქციული დიალოგების წარმოება ჯგუფურ დისკუსიებში.
3. **კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება**
   - მოვლენების ანალიზისა და კითხვების დასმის უნარის განვითარება.
   - წიგნებისა და სიუჟეტების განსხვავებული ინტერპრეტაცია და კრიტიკული განხილვა.
4. **სოციალური უნარები**
   - გუნდურ აქტივობებში მონაწილეობის მიღება და მათი წარმატებით შესრულება.
   - კონფლიქტების მართვა და ემპათიის გამოხატვა.

თამაშები და სტრატეგიები

1. **ინტერაქციული სწავლება**

- თამაშები, როგორიცაა „იპოვე სურათი“ ან „გამოიცანი სიტყვა“, ეხმარება ბავშვებს ახალი მასალის სწრაფად ათვისებაში.
- ჯგუფური დისკუსიები და როლური თამაშები ხელს უწყობს კომუნიკაციური უნარების განვითარებას.

2. შემოქმედებითი სწავლება

- ბავშვები ქმნიან თავიანთ ისტორიებს და მათზე დისკუსიას აწყობენ.
- პერსონაჟების შექმნა და მათი ისტორიების განვითარება ემოციური ინტელექტის გაძლიერებისთვის.

3. ტექნოლოგიური სწავლება

- სპეციალიზებული ციფრული აპლიკაციები ეხმარება ბავშვებს ახალი სიტყვების და ფრაზების სწავლაში ინტერაქტიულ და სახალისო ფორმატში.
- აუდიო და ვიდეო მასალების გამოყენება მოსმენისა და გაგების უნარების გასაძლიერებლად.

ეს სტრატეგიები და მიდგომები უზრუნველყოფს ბავშვების ენობრივი და კომუნიკაციური უნარების განვითარებას, რაც მათ საზოგადოებაში წარმატებული ინტეგრაციისთვის ამზადებს.

6.3 მეორე ენის სწავლება საბავშვო ბაღში

მეორე ენის სწავლება ადრეულ ასაკში წარმოადგენს ბავშვების ენობრივი, კოგნიტური და სოციალური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს, რაც ეხმარება მათ არა მხოლოდ კომუნიკაციური უნარების განვითარებაში, არამედ ემოციების გამოხატვასა და კულტურათაშორისი ცნობიერების ჩამოყალიბებაში. ადრეულ ასაკში ენის სწავლება ქმნის შესაძლებლობას, რომ ბავშვებმა უკეთ გაითავისონ ახალი ენა და სწრაფად შეითვისონ მისგან მიღებული ცოდნა და უნარები, რაც მათ მომავალში გლობალური მოქალაქეობის პრინციპების უკეთ აღქმისა და გამოყენების საშუალებას მისცემს.

1. მიზნები

ენობრივი უნარების განვითარება:

- ბავშვისთვის მეორე ენის ძირითადი საფუძვლების გაცნობა, რაც მოიცავს მარტივი სიტყვებისა და ფრაზების სწავლებას, მათ ყოველდღიურ კონტექსტში გამოყენებისა და კომუნიკაციის უნარების გაღრმავებას.

კულტურული ცნობიერების ამაღლება:

- მეორე ენასთან დაკავშირებული კულტურის ძირითადი ელემენტების გაცნობა, რაც ხელს უწყობს ბავშვებში კულტურათაშორისი გაგებისა და პატივისცემის ჩამოყალიბებას.

კოგნიტური უნარების გაძლიერება:

- მეორე ენის სწავლის პროცესში ვითარდება ბავშვის მეხსიერების, ყურადღების კონცენტრაციისა და პრობლემების გადაჭრის უნარების გაუმჯობესება.

შემოქმედებითი უნარების განვითარება:

- ბავშვებისთვის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც მეორე ენის გამოყენებით ხელს შეუწყობს მათ შემოქმედებითი უნარების განვითარებას და გააძლიერებს თვითგამოხატვის უნარს.

2. ენის შესწავლის შედეგები

ენობრივი პროგრესი:

- ბავშვი სწავლობს არა მხოლოდ ძირითადი სიტყვებისა და ფრაზების სწორად აღქმას, არამედ ცდილობს მათ კონტექსტში სწორად გამოყენებას, რაც მის ლექსიკურ მარაგს ზრდის და კომუნიკაციის პროცესში უფრო თავდაჯერებულს ხდის.

კომუნიკაციის უნარები:

- ბავშვი დამოუკიდებლად ცდილობს მეორე ენაზე კომუნიკაციას თანატოლებთან ან აღმზრდელებთან, რაც ეხმარება მის სოციალური უნარების განვითარებასა და გუნდური მუშაობის პროცესში უფრო აქტიურ მონაწილეობას.

კულტურული ცნობიერება:

- ბავშვი იწყებს გაგებას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სხვადასხვა კულტურის აღიარება და პატივისცემა, რაც მეორე ენის სწავლების პროცესში გაცნობილი ტრადიციებისა და ფასეულობების მეშვეობით ხორციელდება.

კოგნიტური განვითარება:

- ბავშვს უჩნდება უნარი უკეთ გაანალიზოს, გაიაზროს და გადაჭრას სხვადასხვა ტიპის ამოცანები, რაც მას ენის სწავლის პროცესში მუდმივი პრაქტიკის საფუძველზე უყალიბდება.

3. მეთოდები და აქტივობები

ინტერაქციული სწავლება:

- **სიმღერები და რითმები:** ბავშვები სწავლობენ მეორე ენას მუსიკის დახმარებით, რაც მათთვის სასიამოვნო და მარტივად დასამახსოვრებელია, ხოლო ამავე დროს ლექსიკური მარაგის გაფართოებას უწყობს ხელს.
- **თამაშები:** ინტერაქციული თამაშები, როგორიცაა „იპოვე სურათი“ ან „დაიმახსოვრე სიტყვა“, ხელს უწყობს ბავშვის მეხსიერების გაძლიერებასა და ახალი სიტყვების მარტივად დამახსოვრებას.

სიუჟეტური მიდგომა:

- **მოკლე მოთხრობების მოსმენა:** ბავშვები ისმენენ მარტივ ისტორიებს, რომელთა შინაარსის გაგება ეხმარება მათ ლექსიკური მარაგის გამდიდრებასა და მათ სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებაში.
- **პერსონაჟების თამაში:** ბავშვები განასახიერებენ სხვადასხვა პერსონაჟს, რაც მათ ეხმარება ახალი სიტყვების პრაქტიკულ გამოყენებაში.

მულტიმედიური სწავლება:

- **აპლიკაციები და ციფრული რესურსები:** ციფრული ტექნოლოგიები გამოიყენება როგორც ინტერაქციული და სახალისო საშუალება ენის სწავლის პროცესის გასამარტივებლად და გასამდიდრებლად.
- **აუდიო-ვიდეო მასალები:** ბავშვებისთვის შექმნილი აუდიო და ვიდეო რესურსები, როგორიცაა ზღაპრები და ანიმაციები, ამდიდრებს ლექსიკურ მარაგს და ავითარებს მოსმენისა და სალაპარაკო უნარებს.

შემოქმედებითი აქტივობები:

- **ილუსტრაციების შექმნა:** ბავშვები ხატავენ ან ქმნიან სიუჟეტურ ნახატებს, რომლებიც დაკავშირებულია მეორე ენაზე ნასწავლ თემებთან. შემოქმედებითი აქტივობა ამარტივებს ენის დასწავლის პროცესს.
- **ხელნაკეთობები:** ბავშვის მიერ თემატურად შექმნილი ნამუშევრები ეხმარება მას სიტყვების პრაქტიკაში გამოყენებასა და თვითგამოხატვის უნარის განვითარებას.

გუნდური აქტივობები:

- ბავშვები მონაწილეობენ საერთო პროექტებში, რომლებიც მიზნად ისახავს მათ შორის კომუნიკაციის გაღრმავებასა და მეორე ენაზე სამეტყველო უნარების დახვეწას. მაგალითად, თემატური სცენარების დადგმა ან კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა.

4. შეფასების მეთოდები

ენობრივი პროგრესი:

- ბავშვის უნარის შეფასება, თუ რამდენად სწორად იყენებს ის ნასწავლ სიტყვებსა და ფრაზებს კონტექსტში და რამდენად გაუმჯობესდა მისი გამოთქმის უნარი.

კომუნიკაციური უნარები:

- ბავშვის მიერ მეორე ენაზე ინტერაქციისა და ჩართულობა ჯგუფურ აქტივობებში.

კულტურული ცნობიერება:

- ბავშვის უნარის შეფასება, თუ რამდენად გაითავისა ის კულტურათაშორისი ღირებულებები და ტრადიციები, რომლებიც მეორე ენასთან არის დაკავშირებული.

5. სასწავლო რესურსები

- **წიგნები და ზღაპრები:** მარტივი ტექსტებითა და მიმზიდველი ილუსტრაციებით, რაც ეხმარება ბავშვებს სიტყვების უკეთ დამახსოვრებასა და კონტექსტის გაგებაში.
- **ვიზუალური მასალები:** თემატური ბარათები, პოსტერები და სხვა ვიზუალური საშუალებები, რომლებიც ენის სწავლის პროცესს უფრო მარტივსა და სახალისოს ხდის.
- **მულტიმედიური ინსტრუმენტები:** ციფრული აპლიკაციები, აუდიოწიგნები და ვიდეოები, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვის მოსმენისა და გაგების უნარების განვითარებას.
- **სათამაშო მასალები:** თოჯინები, სამაგიდო თამაშები და სხვა სათამაშო მასალები, რომლებიც ენის სწავლის პროცესს ინტერაქციულსა და ეფექტურს ხდის.
- **ხელნაკეთი მასალები:** ქაღალდის ფიგურები, ნახატები და კუბურები სიტყვებით, რაც ბავშვს შემოქმედებით პროცესში ჩართვის გზით ეხმარება ენის სწავლაში.

6.4 ხელოვნება (ემპათიის და გლობალური ხედვის განვითარება)

ხელოვნება სკოლამდელ ასაკში

ხელოვნება სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან იგი ხელს უწყობს მათი **ცნობისმოყვარეობის, შემოქმედებითობის, კვლევითი და სოციალური უნარების** განვითარებას. ეს პროცესი, სწორად მორგებულია თანამედროვე საჭიროებებს, განსაკუთრებით ეფექტურია **გლობალური და ციფრული მოქალაქეობის უნარების ჩამოყალიბებისთვის**.

გლობალური და ციფრული მოქალაქეობის განვითარება ხელოვნებით

1. **კულტურული მრავალფეროვნების აღქმა**
   ხელოვნების აქტივობები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა კულტურის მუსიკას, ცეკვასა და ვიზუალურ ხელოვნებას, ბავშვებს ეხმარება, გაიცნონ და დააფასონ განსხვავებული ტრადიციები და ღირებულებები.
- **შედეგი:** ბავშვებში ყალიბდება კულტურული სენსიტიურობა, რაც გლობალური მოქალაქეობის საფუძველია.
2. **კოლაბორაცია და ემპათია**
   ჯგუფური ხელოვნების აქტივობები ასწავლის ბავშვებს თანამშრომლობას, კომუნიკაციასა და ურთიერთგაგებას.
- **შედეგი:** ეს უნარები მნიშვნელოვანია პასუხისმგებლიანი და პოზიტიური მოქალაქეობისთვის გლობალურ კონტექსტში.
3. **კრეატიული ტექნოლოგიების გამოყენება**
   ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია ხელოვნების აქტივობებში, მაგალითად, ციფრული ხატვისა თუ ანიმაციის საშუალებით, ბავშვებს აცნობს თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლებლობებს.
- **შედეგი:** ბავშვები იძენენ ციფრული ტექნოლოგიების სწორად გამოყენების ჩვევებს.
4. **პრობლემების გადაჭრა**
   ხელოვნებაში მასალებისა და ტექნიკების ექსპერიმენტირებით ბავშვები სწავლობენ პრობლემების გადაჭრის ინოვაციურ გზებს.
- **შედეგი:** ეს უნარები მათ მომავალშიც დაეხმარება ციფრულ და გლობალურ გარემოში.
5. **ინფორმაციის გაზიარების პასუხისმგებლობა**
   ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება (მაგ., ნამუშევრების გაზიარება ან ონლაინ პლატფორმებზე წარდგენა) ბავშვებს ასწავლის, როგორ გამოიყენონ ტექნოლოგიები ეთიკური და უსაფრთხო გზებით.
- **შედეგი:** ბავშვებში ყალიბდება პასუხისმგებლიანი ციფრული კომუნიკაციის უნარი.

ვიზუალური ხელოვნება: ექსპერიმენტირება და თვითგამოხატვა

ვიზუალური ხელოვნება ბავშვებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, იკვლიონ და ექსპერიმენტებით განავითარონ თავიანთი უნარები.

სტრატეგიები ვიზუალურ ხელოვნებაში

1. **თავისუფლება რესურსებში**
   ბავშვებს მივცეთ მასალების შერჩევისა და მათი გამოყენების თავისუფალი არჩევანი, რაც გააძლიერებს კრეატიულობის უნარს.
2. **ექსპერიმენტები**
   შესთავაზეთ სხვადასხვა მასალები და ტექნიკები, მაგალითად, მშრალი ფუნჯით ხატვა, ფანქრის წვერით ხაზვა ან საკვები საღებავებით მუშაობა.
3. **წახალისება კითხვებით**
   დაუსვით ღია კითხვები, რომლებიც ბავშვებს მოტივაციას მისცემს, იფიქრონ მათი ნამუშევრების შედეგებსა და პროცესზე.
4. **შეფასება და გამოფენა**
   ბავშვებს მივცეთ შესაძლებლობა, მათი ნამუშევრები გამოიფინოს, რაც ამაღლებს მათ თვითშეფასებას.

აქტივობები ვიზუალურ ხელოვნებაში

- მრავალფეროვანი მასალების გამოყენება: ფერადი ქაღალდები, ქსოვილები და ბუნებრივი მასალები.
- ქანდაკებების შექმნა მეორადი მასალებით.
- ცნობილი მხატვრების ნამუშევრების გაცნობა და მათი სტილის შესწავლა.

საშემსრულებლო ხელოვნება: მუსიკა, ცეკვა და დრამა

საშემსრულებლო ხელოვნება ხელს უწყობს ბავშვებში ცნობისმოყვარეობისა და შემოქმედებითობის განვითარებას.

სტრატეგიები საშემსრულებლო ხელოვნებაში

1. **ემოციების გამოხატვა**
   მიეცით მაგალითი, როგორ შეიძლება მუსიკის მოსმენისას განცდილი ემოციების გამოხატვა.
2. **შესაძლებლობების მიცემა**
   მიაწოდეთ მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და მასალები, რათა ბავშვებმა გამოიკვლიონ მათი ჟღერადობა.
3. **შემოქმედებითი თავისუფლება**
   მიეცით ბავშვებს თავისუფლება, შექმნან საკუთარი მოძრაობები, რიტმები და დრამატული სცენები.

აქტივობები საშემსრულებლო ხელოვნებაში

- საკუთარი მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადება.
- საცეკვაო ილეთების გამოგონება.
- საბავშვო სპექტაკლების და როლური თამაშების გამართვა.

როგორ ავითარებს ხელოვნება უნარებს?

1. **ცნობისმოყვარეობა**
   ბავშვები სვამენ კითხვებს, იკვლევენ მასალებს და ცდილობენ ექსპერიმენტებით აღმოაჩინონ ახალი გზები.
2. **კვლევითი უნარები**
   ისინი სწავლობენ მასალების შედარებას, დასკვნების გამოტანასა და ტექნიკის დახვეწას.
3. **შემოქმედებითობა**
   ხელოვნების აქტივობები ბავშვებს შანსს აძლევს, შექმნან ახალი იდეები და გადაჭრან პრობლემები ინოვაციური გზებით.

ხელოვნების სწავლის პროცესი უნდა იყოს თავისუფალი, ინკლუზიური და ბავშვის ინტერესებზე მორგებული. ეს პროცესი არა მხოლოდ უნარების განვითარებას, არამედ ბავშვის ინდივიდუალურობასა და თვითგამოხატვის გაძლიერებასაც ემსახურება.
ხელოვნება ბავშვებისთვის კომუნიკაციის, წარმოსახვისა და აღმოჩენების სამყაროა, რომელიც მათ ამზადებს მომავლის გამოწვევებისთვის.

6.5 მეცნიერება

სკოლამდელი ასაკის ბავშვებში საბუნებისმეტყველო, მათემატიკური, ტექნოლოგიური და სოციალური მეცნიერებების შესწავლა ცნობისმოყვარეობის, კვლევისა და შემოქმედებითი უნარების განვითარების გზით პირდაპირ ეხმიანება **გლობალური და ციფრული მოქალაქეობის** მიზნებს. ასევე აღრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრულ ბავშვის განვითარების სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერების შესწავლა ცნობისმოყვარეობის, კვლევისა და შემოქმედებითობის საშუალებით

აღმზრდელი ხელს უწყობს ბავშვის ცნობისმოყვარეობის, კვლევისა და აღმოჩენის უნარის განვითარებას, დააკვირდეს თავის სხეულს, ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას, დასვას კითხვები მოვლენებისა და ნივთიერებების თვისებების შესახებ. აქტიური დაკვირვება, საკვების გასინჯვა და ექსპერიმენტებში მონაწილეობა ბავშვს ეხმარება ჰიპოთეზების ჩამოყალიბებაში, მაგალითად: „ბევრი სირბილისას გული ამიჩქარდება“ ან „ფეხბურთის ბურთი ჩოგბურთის ბურთზე მძიმეა.“

ბავშვები ექსპერიმენტების დროს სწავლობენ ვარაუდების გამოთქმას, ცდების ჩატარებასა და დასკვნების გაკეთებას. მაგალითად: „მცენარე მიწიდან რომ ამოვიღოთ, ის გახმება.“ აღმზრდელი ასევე ეხმარება ბავშვებს, ექსპერიმენტებში მონაწილეობის დროს ობიექტების კლასიფიკაციაში, მაგალითად, გამოყოფენ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო და მავნე საკვებს.

აღმზრდელი წაახალისებს ბავშვებს, დაკვირვებებისას გამოიყენონ სიმბოლოები და შექმნან საკუთარი თეორიები საგნების თვისებების შესახებ. ექსპერიმენტების დროს ბავშვებს წაახალისებენ, მოძებნონ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზები, მაგალითად, მოიფიქრონ ახალი კერძის რეცეპტი ცნობილი ინგრედიენტების გამოყენებით.

მათემატიკისა და ტექნოლოგიური უნარების განვითარება ცნობისმოყვარეობის, კვლევისა და შემოქმედებითობის საშუალებით

მათემატიკასა და ტექნოლოგიებში ცნობისმოყვარეობის გასაღრმავებლად აღმზრდელი ყურადღებას ამახვილებს საგნების რაოდენობაზე, ზომაზე, წონასა და მოცულობაზე. ბავშვები შეისწავლიან ტექნოლოგიებს, აკვირდებიან მათ ფუნქციონირებას და გამოთქვამენ ვარაუდებს, თუ როგორ მუშაობს ესა თუ ის მოწყობილობა. ბავშვები ადარებენ ობიექტებს ფერით, ზომით და ფორმით. ასევე, აღმზრდელი ხელს უწყობს მათ, გამოთქვან მოსაზრებები და გააანალიზონ ტექნოლოგიური მოწყობილობების მუშაობა.

აღმზრდელი ბავშვებს ეხმარება ციფრების ამოცნობასა და მარტივი მათემატიკური ამოცანების გადაჭრაში. ბავშვები თავიანთი იდეების განხორციელებისთვის იგონებენ ახალ ფორმებს, სამუშაო იარაღებს ან ტექნიკურ საშუალებებს.

გლობალური მოქალაქეობის მიზნებთან მიმართება

გლობალური მოქალაქეობის მიზანია, აღვზარდოთ ისეთი პიროვნებები, რომლებიც განვითარებულნი არიან სოციალური პასუხისმგებლობის, კულტურათაშორისი გაგებისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების მიმართულებით. საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებების მიდგომები ხელს უწყობს ბავშვის შემდეგი უნარების განვითარებას:

1. **საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთქმედების გაცნობიერება**: ბავშვები სწავლობენ გარემოს მოვლასა და ადამიანების ქცევის გავლენას ბუნებაზე.
2. **კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა**: სოციალური მეცნიერებების მეშვეობით, ბავშვები ეცნობიან სხვადასხვა კულტურასა და ტრადიციას.
3. **თანასწორობა და სამართლიანობა**: დაკვირვებებით და თამაშებით ბავშვები სწავლობენ განსხვავებულობის მიღებასა და ერთმანეთის მხარდაჭერას.

ციფრული მოქალაქეობის მიზნებთან მიმართება

ციფრული მოქალაქეობა ნიშნავს ციფრული ტექნოლოგიების გააზრებულ და პასუხისმგებლიან გამოყენებას. საბავშვო აქტივობებში ტექნოლოგიების ინტეგრაცია ხელს უწყობს:

1. **ინფორმაციული ეთიკისა და უსაფრთხოების გაცნობიერება**: ბავშვები სწავლობენ, როგორ ფუნქციონირებს ტექნოლოგია და როგორ გამოიყენონ ის პასუხისმგებლიანად. ასევე გააცნობიერონ წესების და ეთიკური ნორმების მნიშვნელობა ციფრულ და რეალურ სამყაროში.
2. **პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარება**: ექსპერიმენტების და მათემატიკური ამოცანების გზით ბავშვები ავითარებენ ლოგიკურ და შემოქმედებით აზროვნებას, რაც მნიშვნელოვანია ციფრულ გარემოში ადაპტაციისთვის.

სოციალური მეცნიერებების შესწავლა ცნობისმოყვარეობის, კვლევისა და შემოქმედებითი უნარების დახმარებით

სოციალური მეცნიერებებით ცნობისმოყვარეობის განვითარებისას, აღმზრდელი ბავშვებს წაახალისებს, იკვლიონ სივრცე და დრო, გააანალიზონ გარემოში არსებული წესები, შეისწავლონ ოჯახის წევრების უფლება-მოვალეობები და სხვადასხვა პროფესიები.

ბავშვები აკვირდებიან და ადარებენ ადამიანებს სხვადასხვა ნიშნით, სწავლობენ კულტურასა და ტრადიციებს. ისინი სწავლობენ სოციუმში არსებულ წესებს და გამოთქვამენ მოსაზრებებს.

ბავშვები ინტერპრეტაციას უკეთებენ სხვადასხვა ხალხის კულტურულ ნიშნებსა და თავიანთი შტრიხებით ამდიდრებენ ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნის ფორმებს, სამოსსა და საცეკვაო ნომრებს.

ჯგუფური ერთობის ხელშეწყობა მეცნიერების შესწავლის გზით

მეცნიერული თამაშები ეფექტურია ჯგუფური მუშაობისთვის. მაგალითად, ემოციების პოსტერის შექმნა ბავშვებს საშუალებას აძლევს, უკეთ შეძლონ ემოციების გაგება, მართვა და სხვებთან გაზიარება. ასეთ აქტივობებში ბავშვები სწავლობენ, როგორ გააუმჯობესონ კომუნიკაცია და ერთობლივად გადაჭრან პრობლემები.

გლობალური და ციფრული მოქალაქეობა ემყარება თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემას. მეცნიერების ჯგუფურ აქტივობებში ჩართულობა ასწავლის ბავშვებს:

- **თანამშრომლობასა და კომუნიკაციას**: ემოციების გაზიარება და პოსტერების შექმნა ეხმარება ბავშვებს, გაუგონ სხვებს და საკუთარი აზრი ეფექტურად გამოხატონ.
- **საერთო მიზნების მიღწევას**: ჯგუფური კვლევითი პროექტები ან ექსპერიმენტები ბავშვებს აჩვენებს, როგორ უნდა იმუშაონ ერთად პრობლემების გადასაჭრელად.

გლობალური და ციფრული მოქალაქეობის განვითარება სკოლამდელ ასაკში ეფექტურად მიიღწევა მეცნიერებების სწავლის პროცესში, რაც აძლიერებს პასუხისმგებლობას, შემოქმედებითობასა და გუნდურობას. ბავშვები სწავლობენ გარემოს დაცვას, კულტურულ მრავალფეროვნებასა და ტექნოლოგიების ეთიკურ გამოყენებას.

ფიზიკური ჯანმრთელობისა და ჰიგიენის სტრატეგიები

1. **ჰიგიენის შესახებ საუბარი:**
- ისაუბრეთ ჰიგიენის მნიშვნელობაზე ვიზუალური მასალის გამოყენებით.
- ასწავლეთ ხელების სწორად დაბანა, კბილების გახეხვა, საპირფარეშოს სწორად გამოყენება.
- ჩართეთ სახალისო აქტივობები ჰიგიენის ჩვევების გასაუმჯობესებლად.
2. **ფიზიკური აქტივობები:**
- ყოველდღიურად შესთავაზეთ ბავშვებს ასაკის შესაბამისი ფიზიკური აქტივობები.
- შექმენით სივრცეები ბაღსა და ეზოში მოძრავი თამაშებისთვის (სარბენი ბილიკი, საძრომიალო, ველოსიპედისთვის ადგილი და ა.შ.).

- შეიმუშავეთ აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს ფიზიკურ აქტივობასა და სუფთა ჰაერზე ყოფნას.

3. **ბავშვების ინტერესი და ჩართულობა:**

- დაეხმარეთ ბავშვებს ერთმანეთთან კომუნიკაციასა და თამაშის წესების გაგებაში.
- გახდით მათი თამაშების აქტიური ნაწილი.
- წაახალისეთ ბავშვები, იფიქრონ ფიზიკურ აქტივობებზე, დასვან კითხვები და ივარჯიშონ მუსიკის თანხლებით.

ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება

1. **ვიზუალური მასალის გამოყენება:**

- ცხოველებზე საუბრისას აჩვენეთ ცხოველების ფოტოები ან ნამდვილს მიმსგავსებული ნახატები.
- მცენარეებზე საუბრისას გამოიყენეთ ნამდვილი მცენარეები.

2. **კვლევა და დაკვირვება:**

- ბავშვებს შეუბრუნეთ კითხვები, მიეცით საშუალება, თავად გამოთქვან ვარაუდები.
- წაახალისეთ ექსპერიმენტების ჩატარება (მაგალითად, მცენარის თესვისა და ზრდის პროცესის დაკვირვება).

3. **აქტივობები:**

- გამოიყენეთ მიკროსკოპი და გამადიდებელი შუშა მცენარეების შესასწავლად.
- შესთავაზეთ ბუნების დაკვირვებასთან დაკავშირებული თამაშები და ექსპერიმენტები.
- წაახალისეთ ბავშვები, შექმნან ჩანახატები, ფოტოები და დააფიქსირონ აღმოჩენები.

საგნები და მოვლენები

ღია კითხვების დასმა: დასვით კითხვები, რომლებიც ბავშვებს კვლევისა და დაკვირვებისკენ უბიძგებს (მაგალითად, „რატომ მიგორავს ეს ბურთი უფრო სწრაფად?“).

ცდები და დაკვირვება:

- შესთავაზეთ ბავშვებს საგნები და მასალები, რომლებსაც დააკვირდებიან და შეადარებენ მათი თვისებების მიხედვით.
- ჩართეთ ექსპერიმენტები, როგორიცაა ნივთიერებების შერევა ან წყლის აორთქლების პროცესზე დაკვირვება.

თამაშები:

- შესთავაზეთ ბავშვებს მასალები, როგორიცაა მაგნიტები, სარკეები, ბორბლები, და ა.შ.
- წაახალისეთ ჩრდილებით თამაში, ფერების შერევა და ახალი ფერების აღმოჩენა.

დრო, სივრცე და კულტურული ტრადიციები

კულტურის გაცნობა:

- ორგანიზება გაუკეთეთ ვიზიტებს მუზეუმებსა და ისტორიულ ადგილებში.
- მოიწვიეთ ოჯახები და ბებია-ბაბუები, რომლებიც ისაუბრებენ ტრადიციებზე.

დროისა და სივრცის გაგება:

- ბავშვებს შესთავაზეთ კალენდარი და საათი დროის გაზომვის შესასწავლად.
- დაგეგმეთ აქტივობები, რომლებიც ასწავლის სივრცით ორიენტაციას (მაგალითად, „წადი მარცხნივ, მარჯვნივ“).

ბუნებასთან კავშირი:

- წაახალისეთ ბავშვები, მოაგროვონ ბუნებრივი მასალები, როგორიცაა ფოთლები და ქვები.
- ერთად დარგეთ ნერგები.

მათემატიკური წარმოდგენები

კანონზომიერებების შესწავლა:

- ასწავლეთ კანონზომიერების ამოცნობა და აღწერა (მაგალითად, „ლურჯი, წითელი, ლურჯი, წითელი...“).

თვლასა და გაზომვაზე მუშაობა:

- შესთავაზეთ საგნების ზომის, წონისა და რაოდენობის შედარება.
- გამოიყენეთ სასწორები, სახაზავები და სხვა საზომი იარაღები.

თამაშები:

- ჩართეთ სამაგიდო თამაშები, რომლებიც ხელს უწყობს თვლასა და კატეგორიზაციას (დომინო, ლოტო).
- კულინარიულ აქტივობებში ბავშვებმა თავად დათვალონ და აწონონ მასალები.

ტექნოლოგია

1. **ინტეგრაცია სწავლებაში:**
    - მიაწოდეთ ბავშვებს საბავშვო ტექნოლოგიური მოწყობილობები.
    - ასწავლეთ, როგორ გამოიყენონ ტექნოლოგია სწავლისა და თამაშისთვის.
2. **გამოცდილების გაზიარება:**
    - დააკვირდით და წაახალისეთ ბავშვების ცნობისმოყვარეობა ტექნოლოგიების მიმართ.
3. **აქტივობები:**
    - შესთავაზეთ ბავშვებს ინტერაქციული აპლიკაციები, რომლებიც ხელს უწყობს ლოგიკურ აზროვნებასა და შემოქმედებას.

6.6 STEAM განათლება: მეცნიერებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება

სკოლამდელი ასაკის ბავშვებში საბუნებისმეტყველო, მათემატიკური, ტექნოლოგიური და სოციალური მეცნიერებების შესწავლა ცნობისმოყვარეობის, კვლევისა და შემოქმედებითი უნარების განვითარების გზით პირდაპირ ეხმიანება **გლობალური და ციფრული მოქალაქეობის** მიზნებს. აღნიშნული მიზნები შეესაბამება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრულ ბავშვის განვითარების სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს.

STEAM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, ხელოვნება და მათემატიკა) განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვების მრავალმხრივ განვითარებაში. მისი ინტეგრაცია ხელს უწყობს ბავშვების კრიტიკულ, შემოქმედებით და ინოვაციურ აზროვნებას, რაც აუცილებელია მომავალი გამოწვევების დასაძლევად. აღნიშნული მიდგომა არა მხოლოდ აკადემიურ განვითარებას ემსახურება, არამედ ხელს უწყობს ბავშვებში სოციალური უნარებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას.

STEAM-ის ძირითადი მახასიათებლები და ინტეგრირება

მახასიათებლები:

1. **ინტეგრირებული სწავლება**
   STEAM-ის მიზანია, დააკავშიროს სხვადასხვა დისციპლინები ისე, რომ ბავშვები გაეცნონ, როგორ იყენებენ მეცნიერებას, ტექნოლოგიას, ინჟინერიას, ხელოვნებასა და მათემატიკას რეალურ სამყაროში.
2. **პრაქტიკული სწავლება**
   ეს მიდგომა სთავაზობს პრაქტიკულ გამოცდილებას, როგორიცაა ექსპერიმენტების ჩატარება, პრობლემების გადაჭრა, ინჟინერული კონსტრუქციების შექმნა ან ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება.
3. **შემოქმედებითი მიდგომა**
   ხელოვნების ინტეგრაცია ზრდის ბავშვებში კრეატიულობას და ეხმარება მათ, იდეების ვიზუალურად და შემოქმედებითად გამოხატვაში.
4. **ცნობისმოყვარეობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარება**
   STEAM ხელს უწყობს ბავშვებს დასვან კითხვები, იკვლიონ მოვლენები და გაანალიზონ მიღებული ინფორმაცია.
5. **გუნდური მუშაობის ხელშეწყობა**
   ბავშვები მუშაობენ ჯგუფებში, რაც ავითარებს მათ პასუხისმგებლობას, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარებს.

ინტეგრირება:

მეცნიერება:

- **ბუნებაში დაკვირვება:**
- ბავშვები ბუნებაში სწავლობენ გარემოს ელემენტების განსხვავებულ მახასიათებლებს, როგორიცაა მცენარეების, ცხოველების და ბუნებრივი მოვლენების განმასხვავებელ ნიშნებს.

- **მაგალითი:** ბავშვები ქმნიან "ფოთლების ალბომს," სადაც აღწერენ ფოთლების ფერს, ფორმას, ზომას და აღმოაჩენენ მათ თვისებებს, როგორიცაა ტექსტურა ან სურნელი. ისინი ადარებენ სხვადასხვა მცენარის ფოთლებს ერთმანეთს და განიხილავენ, როგორ არის ეს თვისებები დაკავშირებული მცენარის ტიპთან ან გარემოსთან.
- **აქტივობა:** აღზმრდელი ბავშვებს წარუდგენს რამდენიმე ფოთლის მაგალითს და სთხოვს, იპოვონ განსხვავებები. შემდეგ ბავშვები ცდილობენ კლასიფიცირებას ფოთლების ფერის, ტექსტურის ან ზომის მიხედვით.
- **ექსპერიმენტების ჩატარება:**
- ბავშვები სწავლობენ ბუნების მოვლენებს და ექსპერიმენტების გზით ადასტურებენ თავიანთ ვარაუდებს.
- **მაგალითი:** "რა ხდება, როცა შუშის ბოთლში წყალს ვაცხელებთ?" ბავშვები აკვირდებიან ორთქლის წარმოქმნას, განიხილავენ წყლის გარდაქმნის პროცესს და შეისწავლიან ფიზიკური მოვლენების საფუძვლებს.
- **აქტივობა:** "მცენარე მზეზე და ჩრდილში" - ბავშვები ორი მცენარის ზრდას ადარებენ სხვადასხვა გარემოში და სწავლობენ, როგორ მოქმედებს სინათლე მცენარის ზრდაზე.

მათემატიკა:

- **რაოდენობების შესწავლა:**
- ბავშვები სწავლობენ დათვლას, რიცხვებს, საგნების დაჯგუფებასა და ფორმებს თამაშებისა და პრაქტიკული აქტივობების მეშვეობით.
- **მაგალითი:** ბავშვები კუბურებით აშენებენ "დაბალ" და "მაღალ" კოშკებს, რის შემდეგაც ისინი ითვლიან თითოეული კოშკის კუბურების რაოდენობას და განიხილავენ, რომელია უფრო მაღალი და რატომ. ბავშვები თამაშობენ ლაბირინთის თამაშს, რომელიც მათ სივრცითი ორიენტაციის უნარების განვითარებაში ეხმარება.
- **აქტივობა:** "დათვალე ინგრედიენტები" - ბავშვები სწავლობენ, როგორ გამოიყენონ რიცხვისა და რაოდენობის მიმართება, მაგალითად, საუზმის მომზადებისას სხვადასხვა ინგრედიენტის რაოდენობის განსაზღვრა.

ტექნოლოგია:

- **მარტივი მოწყობილობების ფუნქციონირების შესწავლა:**
- ბავშვები სწავლობენ ტექნოლოგიური მოწყობილობების მუშაობის პრინციპებსა და ფუნქციონირებას. კოდირების თამაშები და პროგრამირებადი რობოტების გამოყენება ხელს უწყობს ბავშვების ლოგიკურ აზროვნებასა და ტექნიკური უნარების განვითარებას. ბავშვები ქმნიან მარტივ ალგორითმებს რობოტის მართვისთვის და სწავლობენ, როგორ იმოქმედონ ციფრულ სამყაროში.
- **მაგალითი:** ბავშვები აკვირდებიან მიქსერს და ცდილობენ გაიგონ, როგორ მოძრაობს ის. ისინი გამოთქვამენ ვარაუდებს: "რა მოხდება, თუ ჩავრთავთ მიქსერს განსხვავებული სიჩქარით?"
- **აქტივობა:** "როგორ მუშაობს ეს ნივთი?" - ბავშვები ცდილობენ გამართონ მარტივი ელექტრონული მოწყობილობა და გამოიკვლიონ მისი მექანიზმი.

ინჟინერია:

- ბავშვები მონაწილეობენ საინჟინრო აქტივობებში, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს განავითარონ პრაქტიკული კონსტრუქციული უნარები.

- **მაგალითი:** "მოდი ავაშენოთ მდგრადი ხიდი”. ბავშვები ლეგოს გამოყენებით აწყობენ მდგრად კონსტრუქციებს.

მიზეზ-შედეგობრივი კავშირები:

- ბავშვები სწავლობენ ექსპერიმენტების მეშვეობით მოვლენებს შორის მიზეზ-შედოგობრივი კავშირის დადგენას.
- **მაგალითი:** "რა მოხდება, თუ მცენარეებს არ მოვრწყავთ?" ბავშვები აკვირდებიან მცენარეების მდგომარეობას რამდენიმე დღის განმავლობაში და სწავლობენ, როგორ მოქმედებს წყალი მცენარის სიცოცხლისუნარიანობაზე.

ობიექტების კლასიფიკაცია:

- ბავშვები სწავლობენ ობიექტების დალაგებას მათი მახასიათებლების მიხედვით, რაც აძლიერებს ანალიტიკურ უნარებს.
- **მაგალითი:** ბავშვები აგროვებენ სხვადასხვა ფორმისა და ზომის ქვებს, შემდეგ კი მათ ახარისხებენ ფერის, ტექსტურის ან ფორმის მიხედვით.

ვიზუალური წარმოდგენები:

- ბავშვები ვიზუალურად ასახავენ დაკვირვებებსა და ექსპერიმენტების შედეგებს, რაც აძლიერებს მათ შესაძლებლობას კომპლექსური იდეები მარტივი ფორმებით გადმოსცენ.
- **მაგალითი:** "როგორ გამოიყურება მცენარე, როდესაც მას არ ვრწყავთ?" ბავშვები ხატავენ ნახატებს, სადაც ასახავენ მცენარის მდგომარეობას დროთა განმავლობაში.

ხელოვნება:

- მეცნიერების ინტეგრირებით ხელოვნებაში, ბავშვები უკეთ სწავლობენ ბუნების პრინციპებს და ქმნიან ვიზუალურ წარმოდგენებს მეცნიერების საფუძვლებზე. ბუნებისგან შთაგონებული ხელოვნების ნიმუშების შექმნა ბავშვს საშუალებას აძლევს ვიზუალურად გამოხატოს სამეცნიერო იდეები.
- **მაგალითი:** ბავშვები ხატავენ მზის სისტემას და განმარტავენ, როგორ მოძრაობს პლანეტები მზის გარშემო. ბავშვები ქმნიან ნახატებს, რომლებიც ასახავენ ამინდის ცვლილებას და განიხილავენ მათ მიზეზებს.

გლობალური და ციფრული მოქალაქეობის მიზნები

ეკოლოგიური ცნობიერება:

- ბავშვები სწავლობენ გარემოს დაცვას და ეკოლოგიის პრინციპებს, რაც აძლიერებს მათ სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობას.
- **მაგალითი:** ბავშვები ქმნიან პოსტერებს, რომლებიც მოუწოდებს სხვებს, ნაგავი არ დაყარონ და გარემოს მოუარონ.

კულტურათაშორისი გაგება:

- ბავშვები სწავლობენ სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციებს მულტიმედიური რესურსების მეშვეობით, რაც ხელს უწყობს კულტურათაშორისი გაგების განვითარებას.
- **მაგალითი:** ბავშვები ქმნიან ნახატებს, რომლებიც ასახავენ სხვადასხვა ქვეყნის კულტურულ მაგალითებს, როგორიცაა დღესასწაულების სიმბოლოები ან სამოსი.

STEAM აქტივობების პრაქტიკული განხორციელება

ჯგუფის ფიზიკური გარემოს მოწყობა:

- სივრცეები კვლევისთვის, ექსპერიმენტებისა და ხელნაკეთი ნივთებისთვის უნდა იყოს ორგანიზებული ისე, რომ ბავშვებმა მარტივად შეძლონ მასალებთან მუშაობა.
- **მაგალითი:** მიკროსკოპებისა და ბუნებრივი მასალების გამოყენება კვლევის კუთხეში ხელს უწყობს ბავშვის კვლევითი უნარების განვითარებას.

ოჯახის ჩართულობის წახალისება:

- ოჯახის წევრები ერთვებიან ბავშვების სასწავლო პროცესში, რაც აძლიერებს ბავშვების მოტივაციასა და სასწავლო პროცესის ეფექტურობას.
- **მაგალითი:** იმართება ოჯახური STEAM საღამოები, სადაც მშობლები და ბავშვები ერთად მუშაობენ აქტივობებზე, როგორიცაა "შექმენი შენი სამეცნიერო პოსტერები".

შეფასება და რეფლექსია

ბავშვის პროგრესის შეფასება:

- პედაგოგები იყენებენ დაკვირვებას, პროექტზე დაფუძნებულ შეფასებებსა და ბავშვის აქტივობების შედეგების ანალიზს.

- **მაგალითი:** ბავშვები ქმნიან "მეცნიერების ჟურნალს," სადაც აფიქსირებენ თავიანთ დაკვირვებებს და აანალიზებენ ექსპერიმენტის შედეგებს.

რეფლექსია:

- ბავშვებს ეძლევათ საშუალება განიხილონ საკუთარი ნამუშევრები და განავითარონ კრიტიკული აზროვნება.

- **მაგალითი:** "რა ვისწავლე ექსპერიმენტის დროს და როგორ გამოვიყენებ ამას მომავალში?" ბავშვები თავიანთი სიტყვებით აღწერენ შედეგებს.

6.7 დამატებითი განმავითარებელი აქტივობები საბავშვო ბაღის კურიკულუმში

დამატებითი განმავითარებელი აქტივობები წარმოადგენს საბავშვო ბაღის კურიკულუმის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც ემსახურება ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას. ეს აქტივობები ორიენტირებულია ბავშვთა კოგნიტური, შემეცნებითი, ფიზიკური და შემოქმედებითი უნარების

გაძლიერებაზე. მათი გეგმა და განხორციელება ხდება ბავშვების ასაკობრივი, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

აქტივობების აღწერა და მნიშვნელობა

1. ჭადრაკი და LEGO – კოგნიტური და შემეცნებითი უნარები

მიზანი:

- ბავშვებში სტრატეგიული და ლოგიკური აზროვნების უნარების განვითარება.
- კონცენტრაციის, პრობლემების გადაჭრის და შემოქმედებითი უნარების გაძლიერება.

საშუალებები:

ჭადრაკი:
- აზროვნების მოქნილობის და გრძელვადიანი დაგეგმვის უნარების განვითარება.
- სწავლის პროცესში მოთმინებისა და საკუთარი ქცევის კონტროლის გაძლიერება.

LEGO:
- ინჟინერიისა და კონსტრუქციის საწყისი პრინციპების სწავლება.
- გუნდური პროექტები, რომლებიც კომუნიკაციისა და კოლაბორაციის უნარებს აძლიერებს.
- ფანტაზიისა და შემოქმედებითი მიდგომის სტიმულირება.

აქტივობები:

- მარტივი სტრატეგიული თამაშების სწავლება და პრაქტიკა.
- LEGO-ს გამოყენებით თემატური პროექტების შექმნა (მაგ., "შენობების აგება" ან "ცხოველების მოდელირება").
- გუნდური შეჯიბრებები და პრობლემების გადაჭრის გზები.

2. ფეხბურთი და კარატე – ფიზიკური და სენსორული განვითარება

მიზანი:

- ბავშვებში ფიზიკური გამძლეობის, კოორდინაციისა და სენსორული უნარების გაუმჯობესება.
- გუნდურობისა და დისციპლინის განვითარება.

საშუალებები:

- მარტივი ვარჯიშები, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვების კუნთოვანი ტონუსის განვითარებას და ფიზიკურ გამძლეობას.
- თამაშებზე ორიენტირებული ვარჯიშები, რომლებიც აძლიერებს სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარს.
- სოციალური უნარების განვითარება გუნდური თამაშების მეშვეობით.

აქტივობები:

- ფიზიკური ვარჯიშები, რომლებიც ბავშვებს მოძრაობისა და ბალანსის კონტროლს ასწავლის.
- გუნდური თამაშები, რაც კომუნიკაციასა და გუნდურ მუშაობას განავითარებს.
- სახალისო შეჯიბრებები, სადაც ბავშვები საკუთარ შესაძლებლობებს ამოწმებენ.

3. ბალეტი – სენსო-მოტორული და შემოქმედებითი უნარები

მიზანი:

- ფიზიკური მოძრაობის, რიტმის შეგრძნებისა და კოორდინაციის გაუმჯობესება.
- ბავშვის ესთეტიკური და შემოქმედებითი უნარების გაღრმავება.

საშუალებები:

- მოძრაობისა და რიტმის სინქრონიზაციის სწავლება.
- ბალეტის ელემენტების გამოყენებით ბავშვებში ყურადღებისა და დისციპლინის განვითარების ხელშეწყობა.
- თავდაჯერებულობისა და თვითგამოხატვის უნარის გაძლიერება.

აქტივობები:

- მარტივი ბალეტის მოძრაობების სწავლება (მაგ., "პლიე", "რელევე").
- კლასიკური მუსიკის თანხლებით რიტმული მოძრაობების შესწავლა.
- მცირე წარმოდგენების დადგმა, რაც ბავშვის თვითგამოხატვას და თავდაჯერებულობას ზრდის.

აქტივობების დაგეგმვის პრინციპები

1. **ასაკობრივი და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინება:**
- თითოეული აქტივობა სტრუქტურირდება ბავშვების ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით.
- აქტივობების მოდიფიცირება გართულების ან გამარტივების გზით.
2. **ბავშვთა ინტერესებისა და მშობელთა სურვილების გათვალისწინება:**
- ბავშვები და მშობლები ირჩევენ აქტივობებს, რომლებიც მათ ინტერესებსა და მიზნებს შეესაბამება.

შეფასების მეთოდები

1. ***ჩართულობის დონე:***
- რამდენად აქტიურად და ენთუზიაზმით მონაწილეობს ბავშვი აქტივობებში.
- ჯგუფური მუშაობის დროს ინტერაქციის ხარისხი.
2. **უკუკავშირი ბავშვებისგან და მშობლებისგან:**
- ბავშვები გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას აქტივობის მიმართ.
- მშობლები კმაყოფილების განსაზღვრა.
-

7. რუტინა, ტრანზიცია და განრიგი

რუტინის მნიშვნელობა

რუტინა ყოველდღიური ცხოვრებისა და აქტივობების თანმიმდევრულობაა, რომელიც ბავშვებს ეხმარება გარკვეული ჩვევების ჩამოყალიბებასა და თვითკონტროლის განვითარებაში.

- **პირადი ჰიგიენა და თვითმომსახურება**
  ბავშვები სწავლობენ ყოველდღიური ჩვევების მნიშვნელობას, როგორიცაა ხელის დაბანა, პირადი ჰიგიენის დაცვა და თვითმომსახურება. ეს პროცესები ხელს უწყობს არა მხოლოდ ჯანმრთელობის, არამედ დამოუკიდებლობის უნარების განვითარებას.
- **კვება და ჯანსაღი ცხოვრების წესი**
  კვების დროს ბავშვები სწავლობენ მაგიდასთან ქცევის წესებს. ისინი იღებენ ინფორმაციას ჯანსაღი საკვების მნიშვნელობაზე, რაც მათი კოგნიტური და სოციალური უნარების გაღრმავებასაც ემსახურება.
- **დამოუკიდებლობა ყოველდღიურ საქმიანობაში**
  ჩაცმის, ნივთების ორგანიზებისა და მომზადების პროცესები ბავშვს ეხმარება, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს პრობლემები, აიმაღლოს პასუხისმგებლობის გრძნობა და განავითაროს მოტორული უნარები.

ტრანზიციის როლი

ტრანზიცია (გადასვლები) მნიშვნელოვანი პერიოდია, როცა ბავშვები ერთ აქტივობას ასრულებენ და მეორეს იწყებენ.
მიუხედავად იმისა, რომ ეს მარტივად ჟღერს, ასაკით პატარა ბავშვებისთვის ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლა შესაძლოა სტრესულიც კი იყოს. აქედან გამომდინარე, სასურველია, რომ ეს პროცესები სახალისო გახდეს.

- **მოლოდინებისა და სტრუქტურის მნიშვნელობა**
  ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რას ელოდებიან მათგან და რას უნდა მოელოდნენ ტრანზიციის მომენტში. პროგნოზირებადი გარემო მათ სიმშვიდისა და უსაფრთხოების განცდას უქმნის.
- **თამაშები და აქტივობები ტრანზიციისას**
  ტრანზიციის პროცესში შესაძლებელია შემოქმედებითი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა სიმღერები, მოთხრობები ან წარმოსახვითი თამაშები. მაგალითად: „ცხოველების ხმების გამეორება“, „ბუშტის გაბერვა“ ან „წარმოსახვითი მატარებლის გამართვა“.

8.საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა: ძირითადი პრინციპები და მიდგომები

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა წარმოადგენს სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მართვის აუცილებელ კომპონენტს, რომელიც უზრუნველყოფს მიზნების განსაზღვრას, საჭირო რესურსების იდენტიფიცირებასა და სტრატეგიული მოქმედებების დაგეგმვას. ეს პროცესი მიზნად ისახავს,

თითოეული ბავშვის უნარების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მაქსიმალურად ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნას. კვირის გეგმა უნდა იყოს მოქნილი, იძლეოდეს ლავირების საშუალებას ჯგუფის საჭიროებებიდან გამომდინარე.

დაგეგმვის ძირითადი პრინციპები

სწავლის პროცესის ორგანიზება ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- **ინდივიდუალიზაცია**: ბავშვების უნიკალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება.
- **შესაბამისობა კურიკულუმთან**: დაგეგმვის პროცესში კურიკულუმის მიზნებისა და სტრატეგიების გათვალისწინება.
- **მოქნილობა**: საჭიროებისამებრ, დაგეგმილი აქტივობების ადაპტირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბავშვთა ჩართულობა და კომფორტი.
- **რეფლექსია და გაუმჯობესება**: განხორციელებული პრაქტიკის ანალიზი და დასკვნები მომავალი გეგმების უკეთ შესამუშავებლად.

დაგეგმვის ფორმები

საგანმანათლებლო პროცესის მართვაში ორი ტიპის გეგმა გამოიყენება:

1. **მიმდინარე გეგმა** (ერთკვირიანი) – ჯგუფის საერთო და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შექმნილი ყოველკვირეული გეგმა.
2. **ინდივიდუალური გეგმა** – საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული ბავშვის უნიკალურ საჭიროებებსა და მიზნებზე მორგებული სტრატეგია.

მიმდინარე გეგმა

მიმდინარე გეგმაში ასახულია ჯგუფური აქტივობების საერთო ჩარჩო, რომელიც შეიძლება მოიცავდეს:

- **კვირის თემატიკასა და პროექტებს**: აქტუალურ თემებზე სასწავლო და შემოქმედებითი აქტივობების დაგეგმვა.
- **თამაშები და გამოწვევები**: თემატურად გაწერილი თამაშები, რომლებიც უკავშირდება მეცნიერებას, ხელოვნებას, წიგნიერებას ან ფიზიკურ აქტივობებს.
- **ფიზიკური გარემოს ადაპტირება**: ჯგუფისა და ეზოს ორგანიზება ბავშვის საჭიროებებსა და დაგეგმილ აქტივობებთან შესაბამისობაში.
- **ინდივიდუალიზაცია:** დაგეგმილი აქტივობის მორგება გართულების ან გამარტივების გზით.
- **ციფრული მოქალაქეობის ხელშეწყობა**: ციფრული ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების გამოყენების ინტეგრაცია.
- **რუტინული საქმიანობების ორგანიზება**: ტრანზიციებისა და რეგულარული აქტივობების სტრუქტურირება.
- **რეფლექსია**: განვლილი კვირის ანალიზი და დასკვნები მომავალი გეგმების გასაუმჯობესებლად.

ინდივიდუალური გეგმა

ინდივიდუალური დაგეგმვა ითვალისწინებს ბავშვის უნიკალურ საჭიროებებსა და მიზნებს (სსმ, შშმ).

ინდივიდუალური გეგმის ძირითადი კომპონენტები:

- **მიზნები**: ბავშვის უნარებისა და განვითარებისთვის კონკრეტული, მიღწევადი და გაზომვადი მიზნების განსაზღვრა.
- **აქტივობების ადაპტირება**: თამაშებისა და სასწავლო პროცესების მოდიფიცირება ბავშვის შესაძლებლობებთან შესაბამისობაში.
- **ინდივიდუალური დახმარება**: ფუქნციური მიზნის შესრულებაზე პაუსიხისმგებელი პირის განსაზღვრა (აღმზრდელი, ასისტენტი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი).
- **სოციალური ჩართულობა**: ბავშვების დაჯგუფება, რაც მათ თანამშრომლობასა და მხარდაჭერას უწყობს ხელს.
- **სპეციალისტების ჩართულობა**: საჭიროების შემთხვევაში, გეგმების შემუშავება ხდება მშობლების, სპეციალისტებისა და შესაბამისი მომსახურების ცენტრების ჩართულობით.

ინდივიდუალიზაცია პროცესში

ინდივიდუალიზაცია გულისხმობს ყველა ბავშვის უნარებისა და განვითარების ტემპის გათვალისწინებას. იგი ხელს უწყობს ბავშვების ჩართულობას საერთო აქტივობებში და გულისხმობს:

- ბავშვებისთვის ისეთი მასალების შეთავაზებას, რომლებიც ზომიერად რთულია და განვითარების პროცესს უწყობს ხელს.
- კომუნიკაციის მოდელირებასა და მათი ქცევითი სირთულეების მართვაში დახმარებას.
- ინდივიდუალური ინტერესის გათვალისწინება კვლევისა და აღმოჩენის პროცესში.
- ემოციებისა და ქცევის რეგულირების ხელშეწყობას.

დაგეგმვის მოქნილობა და ადაპტირება

დაგეგმვა უნდა იყოს მოქნილი და ადაპტირებადი, რაც საშუალებას მისცემს აღმზრდელს, სწავლების პროცესი როგორც თითოეული ბავშვის, ასევეე მთლიანი ჯგუფის რეალურ ინტერესებსა და საჭიროებებს მოარგოს.

- **მხარდაჭერის მოდელები**: მასალების სიმარტივის ან სირთულის დონის შეცვლა, ჯგუფური და ინდივიდუალური აქტივობების ბალანსი.
- **სწავლების ალტერნატიული მეთოდები**: ინოვაციური სტრატეგიების გამოყენება, მაგალითად როგორც არის ინტერაქციული თამაშები ან შემოქმედებითი პროექტები.

9. დრო და განრიგი

განრიგი: სტრუქტურისა და თანმიმდევრულობის საფუძველი

განრიგი ბავშვის დღის ორგანიზების მნიშვნელოვანი ნაწილია. ის ბავშვებს სთავაზობს სტრუქტურას, რომელიც უსაფრთხოების განცდას აძლევს და ეხმარება დამოუკიდებლობის განვითარებაში.

განრიგის ძირითადი კომპონენტები:

- **მიღება (30-60 წუთი)**
- **დილის შეხვედრა (5-15 წუთი)**
- **თამაში (1 საათი)**
- **ეზოს დრო (1 საათი)**
- **კვება (30 წუთი)**
- **ძილის/დასვენების დრო (30 წუთიდან 2 საათამდე)**
- **საღამოს შეხვედრა (10-15 წუთი)**

დეტალურად გაწერილი განრიგი:

გარდა ძირითადი კომპონენტებისა, განრიგში შეიძლება გაიწეროს დამატებითი აქტივობები:

- **ვარჯიშები**: ყოველდღიური ფიზიკური აქტივობები ბავშვების ჯანმრთელობისა და კოორდინაციის გასაუმჯობესებლად.
- **ცენტრებში თამაში**: თემატური კუთხეები (სამეცნიერო, კონსტრუქციული, შემოქმედებითი), რომლებიც ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას, გამოავლინონ ინტერესები და უნარები.
- **მუსიკალური და მოძრავი თამაშები**: რაც ხელს უწყობს ბავშვების კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარებას.
- **წიგნიერების დრო**: წიგნის ინტერაქციული კითხვა და მოთხრობების განხილვა.
- **კვლევა და აღმოჩენა**: ექსპერიმენტები და გარემოს კვლევა ბავშვების ცნობისმოყვარეობის გაღვივებისთვის.
- **ცეკვა და მუსიკა**: რომელიც მხიარულებასთან ერთად ბავშვებს რიტმულობისა და მოტორულ უნარებს უვითარებს.

განრიგის ძირითადი პრინციპები

1. ბავშვის საჭიროებებზე მორგება
განრიგი აერთიანებს აქტივობებს, რომლებიც ითვალისიწინებს როგორც ინდივიდუალურ, ისე მთლიანი ჯგუფის შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.

2. ბალანსი აქტივობებს შორის
განრიგში უნდა იყოს გათვალისწინებული აქტივობების მრავალფეროვნება:

- წყნარი და აქტიური პერიოდები;
- თავისუფალი და ორგანიზებული თამაშები;
- დამოუკიდებელი და ჯგუფური აქტივობები.

მთლიანი და მცირე ჯგუფები

სწავლა და სოციალური უნარების განვითარება შეიძლება განხორციელდეს როგორც მთლიანი, ასევე მცირე ჯგუფურ აქტივობებში:

- **მთლიან ჯგუფთან აქტივობები**
  ეს მოიცავს დილის შეხვედრებს, თემატურ დისკუსიებს ან ჯგუფურ თამაშებს, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვების წიგნიერების, სოციალური უნარებისა და ემოციური ინტელექტის

განვითარებას. მთლიანი ჯგუფის აქტივობებმა არ უნდა გადააჭარბოს 15-30 წუთს, რათა ბავშვებს არ გაუჭირდეთ ყურადღების კონცენტრირება.

- **მცირე ჯგუფური აქტივობები**
  მცირე ჯგუფებთან მუშაობა ინდივიდუალური მიდგომის გამოყენების საშუალებას იძლევა. მაგალითად: სამეცნიერო ექსპერიმენტები, ხელოვნების პროექტები და კითხვის დრო, რაც მოითხოვს უფრო მეტ ყურადღებასა და ჩართულობას.

გარე აქტივობები და მათი მნიშვნელობა

ბავშვებისთვის ღია სივრცეში გატარებული დრო არის უნიკალური შესაძლებლობა, იყვნენ უფრო აქტიურები, გამოხატონ საკუთარი ინტერესები და დაამყარონ კავშირი ბუნებასთან.

- **თავისუფლება და კვლევა**
  გარე აქტივობები ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას, მიყვნენ თავიანთ ინტერესებს და განავითარონ ფიზიკური და სოციალური უნარები.
- **ინტერაქცია გარემოსთან და თანატოლებთან**
  ეზოში თამაში ხელს უწყობს გუნდურ მუშაობას, პრობლემების გადაჭრისა და კვლევითი უნარების განვითარებას.

10. ფიზიკური გარემო

ბავშვის განვითარებისთის ხელშემწყობი ფიზიკური გარემო უნივერსალური დიზაინის პრინციბებზე დაყრდნობითაა მოწყობილი. ის მრავალფეროვანი, უსაფრთხო და ინკლუზიურია. ფიზიკური გარემო წარმოადგენს ბავშვის განვითარებისთვის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს. კარგად მოწყობილი გარემო არა მხოლოდ თამაშის და სწავლის პროცესს უწყობს ხელს, არამედ აძლევს ბავშვებს შესაძლებლობას, გამოავლინონ თავიანთი უნარები, ჩაერთონ მრავალფეროვან აქტივობებში და შეიძინონ ახალი ცოდნა.

- **შიდა სივრცე**
  შიდა გარემო უნდა მოიცავდეს თამაშისა და სწავლისათვის განკუთვნილ კუთხეებს. ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა რესურსი, როგორიცაა წიგნები, ფანქრები, კონსტრუქციული მასალები, სათამაშოები და სხვ.
- **გარე სივრცე**
  ეზო და ბუნებრივი გარემო ხელს უწყობს ბავშვების შემოქმედებითობასა და ინტერაქციას.

ბავშვის განვითარებისთვის მასტიმულირებელი სივრცეების მოწყობის პრინვიპები:

- უსაფრთხოება
- მრავალფეროვნება
- ხელმისაწვდომობა

- გარემოს ორგანიზება უნდა ითვალისწინებდეს ყველა ბავშვის საჭიროებებს, ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს.
- უნივერსალური დიზაინის პრინციპების გამოყენება უზრუნველყოფს ინკლუზიურ სივრცეს, სადაც ყველა ბავშვი, მიუხედავად ფიზიკური შესაძლებლობებისა, შეძლებს აქტივობებში ჩართვას.

თამაშისა და კვლევის რესურსები
ბავშვებს სჭირდებათ საკმარისი დრო და შესაბამისი მასალები, რომლებიც ხელს შეუწყობს **ცნობისმოყვარეობისა** და **შემოქმედებითობის** განვითარებას.

- სათამაშო მასალები უნდა იყოს მრავალფეროვანი და მიმზიდველი, რათა ბავშვებმა შეძლონ მათი მრავალმხრივ გამოყენება.
- შიდა და გარე სივრცეები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ წაახალისოს, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური აქტივობები.

შიდა სივრცე

ორგანიზებულობა და ხელმისაწვდომობა
შიდა სივრცის დაგეგმვა უნდა მოიცავდეს ბავშვებისთვის მარტივად ხელმისაწვდომ და ორგანიზებულ ზონებს.

- **ოთახის გაყოფა ზონებად**: სასურველია სივრცე დაიყოს სხვადასხვა სასწავლო და სათამაშო კუთხეებად, რაც ხელს შეუწყობს ბავშვების ინტერესების მრავალფეროვნებას.
- **ავეჯი და რესურსები**: ხის თაროები, მაგიდები და სკამები უნდა იყოს ბავშვების სიმაღლის შესაბამისი, ხოლო ყველა მასალა – ღია და ხელმისაწვდომი.
- **ნეიტრალური ფერები**: კედლებისა და ავეჯის ფერები უნდა იყოს მშვიდი და ნეიტრალური, რათა ბავშვებმა შეძლონ ყურადღების კონცენტრირება აქტივობებზე.
- **რესურსები**: ქაღალდი, ფანქრები, წიგნები, სათამაშოები და სხვა მასალები ბავშვისთვის ხილულ და ხელმისაწვდომ ადგილას უნდა განთავსდეს.

გარე სივრცე

ბუნებრივი და სტრუქტურირებული ზონები
გარე სივრცე უნდა იყოს **მრავალფეროვანი** და **მრავალმხრივი**, სადაც ბავშვებს ექნებათ შესაძლებლობა იყვნენ აქტიურები, დაამყარონ კავშირი ბუნებასთან და იკვლიონ გარემო.

- **სათამაშო ზონები**: ეზო დაყოფილი უნდა იყოს სხვადასხვა სათამაშო ზონებად, რომლებიც ხელს უწყობს ფიზიკურ აქტივობასა და თანატოლებთან ინტერაქციას.
- **მოქნილობა და ცვლილება**: სივრცე უნდა იყოს ადაპტირებადი, რათა საჭიროებისამებრ გამდიდრდეს ახალი რესურსებით.
- **ბუნებრივი რესურსები**: ქვიშის ყუთები, წყლის მაგიდები, ბალახის საფარი და სხვა ბუნებრივი ელემენტები ხელს უწყობს ბავშვების შემოქმედებითობისა და კვლევითი უნარების განვითარებას.

უნივერსალური დიზაინის პრინციპები

ფიზიკური გარემოს მოწყობისას უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინება საშუალებას იძლევა, რომ თითოეული ბავშვი ჩაერთოს პროცესში.

- **ხელსაყრელი რესურსები**: ღია მასალები, როგორიცაა ქვიშა, წყალი, მუყაოს ყუთები და სხვა ბუნებრივი რესურსები, ბავშვს შესაძლებლობას აძლევს, გამოიყენოს თავისი ფანტაზია და განავითაროს შემოქმედებითი უნარები.
- **ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის**: შიდა და გარე სივრცეები უნდა იყოს მორგებული შეზღუდული შესაძლებლობისა (შშმ) და სპეციალური საჭიროების (სსმ) მქონე ბავშვების საჭიროებებზე, რაც უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს.

ციფრული და გლობალური განათლების ხელშეწყობა

ტექნოლოგიური ზონები
ციფრული განათლების კომპონენტი ადრეული ასაკიდანვე შესაძლებელია ეფექტურად იყოს ინტეგრირებული.

- **ტექნოლოგიური მოწყობილობები**: კომპიუტერები, პლანშეტები და ინტერაქციული დაფები, რომლებიც ადაპტირებულია ბავშვების ასაკსა და უნარებზე.
- **ინტერაქციული თამაშები და აპლიკაციები**: ბავშვებს ეხმარება ახალი უნარების გამომუშავებაში, კრიტიკული აზროვნებისა და კრეატიულობის განვითარებაში.
- **ვირტუალური რეალობა**: საინტერესო და საგანმანათლებლო „ვირტუალური ტურები“, რომელიც ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს „გაიცნონ“ სხვადასხვა კულტურები და გარემო.

რესურსების მრავალფეროვნება

ფიზიკური და ციფრული რესურსები
რესურსების მრავალფეროვნება სასწავლო პროცესის გამოცდილების გამდიდრებას უზრუნველყოფს.

- **ბეჭდური მასალები**: წიგნები, პლაკატები და სავარჯიშო მასალები სხვადასხვა კულტურებისა და თემების წარმოსაჩენად.
- **ხელოვნებისა და ტექნოლოგიის კომბინაცია**: ბავშვებს შეუძლიათ შექმნან ხელნაკეთი ნივთები და ციფრული ილუსტრაციები, რაც მათ შემოქმედებით და ტექნიკურ უნარებს აუმჯობესებს.

ფიზიკური გარემოს გავლენა განვითარებაზე

ფიზიკური გარემო პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს ბავშვის **კოგნიტიურ**, **სოციალურ**, **ემოციურ** და **ფიზიკურ განვითარებაზე**.

- **ინკლუზიური და მოტივაციური გარემო** აძლიერებს ბავშვების მოტივაციას და აძლევს თვითგამოხატვის საშუალებას.

- **სტრუქტურული და მასტიმულირებელი სივრცეები** უზრუნველყოფს უკეთეს პირობებს, რათა ბავშვებმა გააცნობიერონ საკუთარი პოტენციალი.

11. დაკვირვება, რეფლექსია და პორტფოლიოს წარმოება

საგანმანათლებლო პროცესის განუყოფელი კომპონენტები

საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება და მისი ხარისხის გაუმჯობესება მოითხოვს ბავშვის ქცევასა და განვითარებაზე მუდმივ დაკვირვებას, რეფლექსურ ანალიზსა და პროცესის სისტემიურ დოკუმენტირებას. ეს პროცესები საშუალებას აძლევს აღმზრდელს, შეაფასოს ბავშვის უნარები, დაინახოს მისი პროგრესი და შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებული აქტივობები დაგეგმოს.

11.1 დაკვირვება

დაკვირვება არის ბავშვის ყოველდღიური ქცევის, მოქმედებებისა და ურთიერთობების სისტემატიური შესწავლა. მისი მიზანია, აღმზრდელმა შეისწავლოს ბავშვის უნარები, ინტერესები და გამოწვევები, რაც საგანმანათლებლო პროცესის ინდივიდუალიზაციას განაპირობებს.

დაკვირვების ძირითადი მიზნები

- **ბავშვის ინტერესებისა და უნარების ამოცნობა**: დაკვირვება საშუალებას იძლევა, აღმზრდელმა შეამჩნიოს რა ტიპის აქტივობებში მონაწილეობს ბავშვი ყველაზე ხშირად, რა უყვარს და რა აინტერესებს.
- **მიღწევებისა და გამოწვევების გამოვლენა**: დაკვირვების საფუძველზე აღმზრდელი ადგენს როგორც ბავშვის ძლიერ მხარეებს, ასევე იმ უნარებს, რომელიც დამატებით განვითარებას საჭიროებს.
- **სასწავლო პროცესის მორგება**: მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად, სწავლის პროცესის სტრუქტურა, თემები და აქტივობები ადაპტირდება თითოეული ბავშვის უნარებისა და საჭიროებების შესაბამისად.

დაკვირვების მეთოდები

1. **დაკვირვება**: ბავშვის ქცევაზე, მოქმედებასა და თამაშზე უშუალო დაკვირვება ჯგუფში ან ინდივიდუალურად და საქმიანობის, მიღწევებისა და სოციალური ურთიერთობების სისტემატიური აღწერა.
2. **განვითარების სფეროების შეფასება**: კოგნიტიური, ფიზიკური, სოციალური და ემოციური უნარების შესწავლა, რაც ბავშვის განვითარების სრულ სურათს ქმნის.
3. **ფოტო და ვიდეო ჩანაწერები**: ბავშვის აქტივობების ვიზუალური დოკუმენტირება, რაც გვიჩვენებს ბავშვის განვითარების პროგრესს.

11.2 რეფლექსია

რეფლექსია გულისხმობს როგორც ბავშვის ქცევისა და მიღწევების, ასევე აღმზრდელის საქმიანობის ანალიზს. ეს პროცესი ეხმარება აღმზრდელს, შეაფასოს საკუთარი მიდგომების ეფექტურობა და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შეიტანოს საგანმანათლებლო პროცესში.

რეფლექსიის ძირითადი მიზნები:

- **ბავშვის ინტერესის გამოკვეთა**: დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე ბავშვის საყვარელი თემების, აქტივობებისა და თამაშების აღმოჩენა.
- **მიღწევებისა და გამოწვევების გააზრება**: თითოეული ბავშვის უნარების, მიღწევებისა და განვითარების საჭიროებების გათვალისწინება.
- **ჯგუფის ერთობის ანალიზი**: ჯგუფში არსებული სოციალური ურთიერთობების შეფასება და მათი განვითარების ხელშეწყობა.
- **მშობლებთან თანამშრომლობა**: ბავშვის მიღწევების, პროგრესის გაზიარება მშობლებთან და ახალი მიზნების დასახვა.

რეფლექსიის პროცესის ეტაპები:

1. **მონაცემების შეჯამება**: ბავშვების შესახებ დაკვირვებით მიღებული მონაცემების სისტემატიზაცია.
2. **პრობლემების იდენტიფიცირება**: ბავშვის ან ჯგუფის ქცევის და უნარების იმ ასპექტების გამოვლენა, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.
3. **ახალი მიზნების დასახვა**: მიზნების განსაზღვრა ბავშვის ან ჯგუფის განვითარებისთვის.
4. **შედეგების ანალიზი**: მიმდინარე სასწავლო პროცესის ეფექტურობის შეფასება და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა.

11.3 პორტფოლიოს წარმოება

პორტფოლიო ბავშვის უნარებისა და პროგრესის სისტემური დოკუმენტირების საშუალებაა, რომელიც აერთიანებს დაკვირვების შედეგებს, ნამუშევრებსა და სხვა მასალებს.

პორტფოლიოს მნიშვნელობა

- **ბავშვის განვითარების დოკუმენტირება**: პორტფოლიო იძლევა ბავშვის უნარების, მიღწევებისა და პროგრესის სრულ სურათს.
- **პროგრესის მონიტორინგი**: დროთა განმავლობაში პორტფოლიოში შენახული მონაცემების ანალიზი ნათლად აჩვენებს ბავშვის განვითარების დინამიკას.
- **მშობლებთან და სპეციალისტებთან კომუნიკაცია**: პორტფოლიოს გამოყენება ეხმარება მშობლებს და სპეციალისტებს, უკეთ გაიგონ ბავშვის უნარები და მათი როლი ამ პროცესში.

პორტფოლიოს კომპონენტები:

1. **ბავშვის ნამუშევრები**: ნახატები, ხელნაკეთი ნივთები, კონსტრუქციები და სხვა შემოქმედებითი ნაშრომები.
2. **ფოტო და ვიდეო მასალები**: ბავშვის აქტივობებისა და ქცევების დოკუმენტირება.
3. **განვითარების ჩანაწერები**: ბავშვთა ქცევისა და მიღწევების აღწერა სხვადასხვა სიტუაციებში.
4. **ანალიზის ჩანაწერები**: რეფლექსიის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები და შემოთავაზებები.

11.4 რეფლექსური დღიური: საგანმანათლებლო პროცესის ანალიზის პრაქტიკული ინსტრუმენტი

რეფლექსური დღიური წარმოადგენს მასწავლებლის ყოველდღიური საქმიანობის ანალიზის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. ის საშუალებას აძლევს აღმზრდელს, შეაფასოს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობა, მიიღოს ინფორმაცია ბავშვის ქცევებისა და განვითარების შესახებ და დაისახოს კონკრეტული მიზნები შემდგომი საქმიანობისთვის.

რეფლექსური დღიურის დანიშნულება

1. **საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი:**
   რეფლექსური დღიური ეხმარება მასწავლებელს, შეაფასოს ბავშვის ქცევა, ჯგუფში მიმდინარე პროცესები და საკუთარი სტრატეგიების ეფექტურობა.
2. **ობიექტური მონაცემების დოკუმენტირება:**
   დღიურის საშუალებით შესაძლებელია ობიექტური დაკვირვებებისა და შედეგების აღწერა, რაც დაეხმარება მასწავლებელს, სწავლის პროცესის დაგეგმვაში.
3. **სუბიექტური შეფასებები და ანალიზი:**
   რეფლექსური დღიური აერთიანებს არა მხოლოდ ფაქტობრივ მონაცემებს, არამედ მასწავლებლის სუბიექტურ აზრებს, შეფასებებსა და დასკვნებს.

რეფლექსური დღიურის შევსების პრინციპები

- **ჩანაწერები შეიძლება გაკეთდეს სხვადასხვა დროს:**
  - უშუალოდ დაკვირვების პროცესში;
  - სამუშაო დღის ბოლოს;
  - თავისუფალ დროს.
- **ობიექტურობა და სიზუსტე:**
  ჩანაწერები უნდა ასახავდეს კონკრეტულ ფაქტებსა და მოვლენებს, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს, მათზე დაყრდნობით გააანალიზოს საგანმანათლებლო პროცესის სუსტი და ძლიერი მხარეები.
- **სისტემატური ანალიზი:**
  უნდა მოხდეს ჩანაწერების გადახედვა და ანალიზი, რათა დაიგეგმოს შესაბამისი ცვლილებები სასწავლო პროცესში.

რეფლექსური დღიურის შინაარსი

რეფლექსური დღიურის ჩანაწერები მოიცავს:

1. **ბავშვის ქცევებისა და ქმედებების აღწერას**: ინდივიდუალური და ჯგუფური საქმიანობების ანალიზს.
2. **საგანმანათლებლო გარემოს შეფასებას**: მაგალითად, რომელი სივრცეები ან მასალები გამოიყენებოდა უფრო მეტად და რომელი – ნაკლებად.
3. **მასწავლებლის სტრატეგიების ანალიზს**: გამოყენებული მეთოდების ეფექტურობის შეფასებასა და მათი გაუმჯობესების გზების ძიებას.
4. **დაკვირვების მონაცემებზე დაფუძნებულ დასკვნებს**: დასკვნები უნდა იყოს პოზიტიური და განვითარებაზე ორიენტირებული, რაც ხელს შეუწყობს მიმდინარე პროცესის ჯგუფის საჭიროებებზე მორგებას.

რეფლექსური დღიურის პრაქტიკული გამოყენება

სივრცის ორგანიზების გაუმჯობესება

რეფლექსური ჩანაწერების საფუძველზე შეიძლება გამოვლინდეს, რომ გარკვეული სივრცეები ჯგუფში გადატვირთულია ან ნაკლებად ფუნქციური. ეს ინფორმაცია ეხმარება აღმზრდელს, შეცვალოს სივრცის გადანაწილება ან მასალების განლაგება.

პროგრესის შეფასება და პორტფოლიო

რეფლექსური დღიურის მონაცემები ხშირად გამოიყენება ბავშვის პორტფოლიოს შევსებისთვის.

მნიშვნელოვანი რეკომენდაციები რეფლექსური დღიურის წარმოებისთვის

1. **წერეთ რეგულარულად**: დღის ან კვირის ბოლოს შესრულებული ჩანაწერები საშუალებას მოგცემთ, სრულყოფილად გააანალიზოთ პროცესები და განახორციელოთ საჭირო ცვლილებები.
2. **ფოკუსირდით მნიშვნელოვან მოვლენებზე**: არ არის საჭირო ყოველი აქტივობის დეტალური აღწერა. შეაჯამეთ ის მოვლენები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის ან ჯგუფის განვითარებისთვის.
3. **გადაავლეთ ჩანაწერებს თვალი პერიოდულად**: რეგულარული გადახედვა საშუალებას მოგცემთ, შეაფასოთ პროგრესი და განსაზღვროთ ახალი მიზნები.
4. **გამოიყენეთ ჩანაწერები განვითარების სტრატეგიების შესამუშავებლად**: დღიური უნდა იყოს ინსტრუმენტი, რომელიც დაგეხმარებათ, როგორც ბავშვის, ისე ჯგუფის საჭიროებების უკეთ გაგებასა და პროცესის ოპტიმიზაციაში, ასევე საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესებაში.

11.5 მაგალითები დაკვირვების, რეფლექსიის და პორტფოლიოს გამოყენების პრაქტიკულობისთვის

1. დაკვირვება

დაკვირვება ბავშვის ყოველდღიური ქცევის, უნარებისა და ინტერესების შესწავლას ემსახურება. მისი განხორციელება შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდით:

- **მაგალითი:** აღმზრდელმა შენიშნა, რომ იოანა მუდამ თავს არიდებს თანამშრომლობით გუნდურ აქტივობებში მონაწილეობას. ამის საპასუხოდ, აღმრდელი აგრძელებს დაკვირვებას ბავშვის ქცევებზე ინდივიდუალურ და ჯგუფურ სიტუაციებში. შედეგად დადგინდა, რომ ბავშვს დახმარება ჭირდება კომუნიკაციაში. რის საფუძველზეც დაგეგმა აქტივობა წყვილში, სადაც იოანა უნდა დახმარებოდა სხვა ბავშვს მარტივ დავალების შესრულებაში (მაგალითად, ერთად აეგოთ კოშკი).საჭიროების შემთხვევაში აღმზრდელი თავად ჩაერთვებოდა აქტივობაში, იოანას წახალისების მიზნით.
- **მაგალითი:** მარიამმა ხატვის დროს ორჯერ ითხოვა დახმარება, თუმცა საბოლოოდ დამოუკიდებლად დაასრულა. დასახმარებლად სხვებისთვის არ მიუმართავს. ეს ჩანაწერი აჩვენებს, რომ მარიამი სწავლობს დამოუკიდებლად მუშაობას, თუმცა ჯერ კიდევ სჭირდება გარკვეული სახის მხარდაჭერა.
- **ფოტო და ვიდეო ჩანაწერები:**
  მაგალითი: მასწავლებელმა გადაიღო ვიდეო, სადაც ბავშვი პაზლის აგებისას ამოხსნის უნარებს ავლენს. ვიდეო მოგვიანებით პორტფოლიოში დაიდო და მშობლებსაც გაუზიარდა, რათა მათ უფრო ნათლად ენახათ ბავშვის პროგრესი.

2. რეფლექსია

რეფლექსია მოიცავს ბავშვის ქცევისა და მიღწევების გააზრებას და ასევე მასწავლებლის სტრატეგიების ანალიზს.

- **ბავშვის ქცევებისა და მიღწევების ანალიზი:**
  მაგალითი: მასწავლებელმა შეამჩნია, რომ თამაშის დროს ლუკასს უჭირს სხვა ბავშვებთან სათამაშო სივრცის გაზიარება. რეფლექსიის პროცესში, მასწავლებელმა დაასკვნა, რომ საჭიროა ჩართოს აქტივობები, რომლებიც ბავშვებს თანამშრომლობის უნარებს განუვითარებს. დაგეგმილი აქტივობა: „ერთობლივად ააწყეთ სათამაშო ქალაქი“.
- **ჯგუფური პროცესების შეფასება:**
  მაგალითი: რეფლექსიის შედეგად მასწავლებელმა შეამჩნია, რომ ერთ ჯგუფში მუდმივად ერთი და იგივე ბავშვები ლიდერობენ, დანარჩენები კი პასიურ როლში რჩებიან. შემდეგი აქტივობისას მან ჯგუფები ისე გადაანაწილა, რომ თითოეულ ბავშვს მიეცა ლიდერობის შესაძლებლობა.
- **მშობლებთან თანამშრომლობა:**
  მაგალითი: აღმზრდელმა შეამჩნია, რომ მარიამსს მწირი ლექსიკური მარაგი აქვს. რეფლექსიის დროს მასწავლებელმა გადაწყვიტა, მშობლისთვის რეკომენდაცია მიეცა, რომ მარიამისთვის სახლში უფრო ხშირად წაეკითხათ ხმამაღლა საბავშვო წიგნები, რათა ბავშვის სიტყვათა გამდიდრების პროცესი დაეჩქარებინა.

3. პორტფოლიოს წარმოება

პორტფოლიო ბავშვის უნარებისა და პროგრესის ვიზუალურად და სისტემურად დოკუმენტირებას ემსახურება.

- **ნამუშევრების დაგროვება:**
  მაგალითი: ნიკოლოზის პორტფოლიოში შეტანილი იყო მისი ნახატები, რომლის საშუალებითაც მშობლებმა დაინახეს ხატვაში მისი ხატვისადმი პროგრესი. მაგალითები მოიცავდა მარტივ ფიგურებს წლის დასაწყისში და კომპლექსურ სცენებს წლის ბოლოს.
- **დაკვირვების ჩანაწერები:**
  მაგალითი: პორტფოლიოში ჩანაწერი ასახავდა, როგორ გაუმჯობესდა ლიზას წვრილი მოტორიკა – ერთ-ერთ აქტივობაში მან პირველად შეძლო ნიმუშის მიხედვი რთული კონსტრუქციის აწყობა.
- **ფოტო და ვიდეო ჩანაწერები:**
  მაგალითი: პორტფოლიოში დამატებული იყო ფოტოები, სადაც ბავშვი სათამაშოებით ექსპერიმენტებს ატარებდა. მშობელმა აღნიშნა, რომ ბავშვს სახლში მსგავსი ინტერესები ჰქონდა, რაც ბაღის აქტივობებთან კავშირშია.

4. დამატებითი პრაქტიკული სარგებელი

- **მშობლებთან შეხვედრები:**
  პორტფოლიოს მონაცემები გამოიყენეს მშობლებთან საუბრისას, რათა ნათლად დაენახათ ბავშვის პროგრესი.
  მაგალითი: მშობლებს აჩვენეს ბავშვის პორტფოლიოში დაცული ჩანაწერები, სადაც ჩანს, როგორ გაუმჯობესდა ბავშვს კომუნიკაციისა და სოციალური უნარები.
- **რეფლექსური დღიურის შევსება:**
  მაგალითი: მასწავლებელმა დღიურში შეაჯამა, როგორ წარიმართა ახალი აქტივობა – „თავსატეხის გამოცნობა“. ჩანაწერი მოიცავდა შემდეგს: „ანა სრულად ჩაერთო აქტივობაში, თუმცა გაუჭირდა პირველი ნაბიჯის გადადგმა. დახმარების შემდეგ წარმატებით დაასრულა.“ ეს მონაცემი დაეხმარა მასწავლებელს, დაინახოს ბავშვის ძლიერი მხარეები და გამოწვევები.

12. წახალისების მეთოდები

ინკლუზიურ გარემოში წახალისების პრინციპები

ინკლუზიურ გარემოში წახალისებისა და შეფასებისგან თავისუფალი სივრცის შექმნა აძლიერებს ბავშვების ენთუზიაზმსა და ინტერესს.

ინდივიდუალური პროგრესის შეფასება: თითოეული ბავშვის უნიკალურობის აღიარება და მათი პირადი მიღწევების აღნიშვნა. შედარების თავიდან აცილება და ყურადღების გამახვილება ბავშვის მიერ მიღწეულ პროგრესზე.

მრავალმხრივი შეფასება: აქტივობებისა და უნარ-ჩვევების მრავალფეროვნების შეფასება, როგორიცაა სოციალური უნარები, კოგნიტიური განვითარება და შემოქმედებითი იდეები.

წახალისების პროცესის სტრატეგიები

პოზიტიური უკუკავშირი:

- ბავშვების ინდივიდუალური მიღწევების აღნიშვნა სიტყვებით, როგორიცაა "მადლობა, რომ მიიღე მონაწილეობა" ან "მადლობა დახმარებისთვის".
- თითოეული ბავშვის უნიკალური თვისებების დადებითი შეფასება - ძალისხმევის, მიღწევებისა და ჩართულობის აღნიშვნა.

მშობლების ჩართულობა:

- ბავშვის მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მშობლებთან;
- სერთიფიკატების ან ნამუშევრების წარდგენა მშობლების შეხვედრაზე.

წახალისების გავლენა

წახალისების პროცესს ბავშვის განვითარების ყველა ასპექტზე დადებითი გავლენა აქვს:

- **მოტივაცია:** ბავშვები უფრო მეტად ცდილობენ თავიანთი შესაძლებლობების წარმოჩენას.
- **თვითშეფასება:** ბავშვები სწავლობენ საკუთარი ძალისხმევის დაფასებას.
- **ემოციური კეთილდღეობა:** ბავშვები გრძნობენ მხარდაჭერასა და დაფასებას.

13. აღმზრდელის როლი საბავშვო ბაღის კურიკულუმის განხორციელებაში

აღმზრდელი არის საგანმანათლებლო პროცესის ძირითადი განმახორციელებელი, რომელიც პასუხისმგებელია კურიკულუმის მიზნების შესრულებაზე. მისი როლი მოიცავს ბავშვის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას თამაშზე დაფუძნებული სწავლების გზით, ინკლუზიური და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, ბავშვების პროგრესის შეფასებას, კოლეგებთან და მშობლებთან ეფექტურ კომუნიკაციას. აღმზრდელი მუდმივად ზრუნავს საკუთარი პროფესიული კომპეტენციების გაუმჯობესებასა და თანამედროვე პედაგოგიური მეთოდების გამოყენებაზე.

1. აღმზრდელის ძირითადი როლი

- **კურიკულუმის იდეების ადაპტაცია:** აღმზრდელი პასუხისმგებელია კურიკულუმის მიზნების შესაბამისად ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაზე.
- **სასწავლო გარემოს შექმნა:** ინკლუზიური, უსაფრთხო და შემოქმედებითი გარემოს უზრუნველყოფა, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ინდივიდუალურ და ჯგუფურ განვითარებას.
- **ცნობისმოყვარეობისა და ინტერესების გაღვივება:** აქტივობების საშუალებით ბავშვს უნდა მისცეს შესაძლებლობა, იკვლიოს, ისწავლოს და გამოხატოს საკუთარი შესაძლებლობები.
- **კოლეგებთან თანამშრომლება:** პოზიტიური კომუნიკაცია და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.
- **თანამშრომლობა ოჯახებთან:** მშობლებთან მჭიდრო თანამშრომლობა ბავშვის განვითარების პროგრესისა და ინტერესების გაზიარებისთვის.

2. საგანმანათლებლო პროცესის მართვა

- **თამაშზე დაფუძნებული სწავლება:** თამაშის ორგანიზება ისე, რომ ბავშვი ავითარებს კოგნიტურ, სოციალურ, ემოციურ და ფიზიკურ უნარებს.
- **შემოქმედებითი აქტივობების წახალისება:** ბავშვის მოტივირება გამოთქვას ახალი იდეები, შექმნას კონსტრუქციები და იკვლიოს მასალები.
- **კვლევითი უნარების განვითარება:** ბავშვის ცნობისმოყვარეობის გაღრმავება აქტივობებით, რომლებიც მოიცავს დაკვირვებას, ექსპერიმენტირებასა და დასკვნების გამოტანას.
- **მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება:** საბავშვო ბაღის გარემოში უნდა განხორციელდეს როლური თამაშები, სამეცნიერო ექსპერიმენტები, სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნების აქტივობები.

3. დაგეგმვა და ინდივიდუალური მიდგომა

- **კულტურული და ენობრივი იდენტობის გათვალისწინება:** აღმზრდელების გეგმები უნდა მოიცავდეს ბავშვების კულტურულ და ენობრივ ფონს, რაც ხელს შეუწყობს მათ პიროვნულ უნიკალურობასა და წინარე გამოცდილების გათვალისწინებას.
- **ბავშვთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინება:** აქტივობების შერჩევა ხდება თითოეული ბავშვის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით.
- **წინარე ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება:** ბავშვის წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით ცოდნის გაღრმავება (ე.წ. "ხარაჩოს მეთოდი").

4. შეფასება და პროგრესის მონიტორინგი

- **დაკვირვება:** ბავშვების ქცევის, პროგრესისა და უნარების შესწავლა, მათი ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების აღმოჩენა.
- **პორტფოლიოს წარმოება:** ბავშვების ნამუშევრების, მიღწევებისა და პროგრესის სისტემური დოკუმენტირება.
- **რეფლექსია:** მასწავლებლის საქმიანობისა და აქტივობების ეფექტურობის შეფასება.

5. გლობალური და ციფრული მოქალაქეობის უნარების განვითარება

- **ეკოლოგიური ცნობიერების გაღვივება:** ბავშვების ჩართვა აქტივობებში, რომლებიც ასწავლის ბუნების მნიშვნელობასა და მის მოვლას.
- **ტექნოლოგიების გამოყენება:** თანამედროვე ციფრული ინსტრუმენტების უსაფრთხო და ეფექტური გამოყენების სწავლება.

6. ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა

- **ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება:** ყოველი ბავშვის უნიკალურობის აღიარება და მათი შესაძლებლობების ხელშეწყობა.
- **ინკლუზიურობის პრინციპების დაცვა:** ინკლუზიური ჯგუფის მხარდასაჭერად მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება.

7. მუდმივი პროფესიული განვითარება

აღმზრდელი რეგულარულად ახორციელებს თავისი საქმიანობის თვითშეფასებას, რათა უზრუნველყოს კურიკულუმის მიზნების შესრულება, რომლებიც მოიცავს თამაშზე დაფუძნებული სწავლების, კვლევითი და შემოქმედებითი აქტივობების ორგანიზებასა და ბავშვების პროგრესის შეფასებას. თვითშეფასების პროცესი ეფუძნება სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რაც აღმზრდელის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას უწყობს ხელს.

- აღმზრდელი უნდა იყოს შემოქმედებითი, მზრუნველი და მუდმივად განავითაროს თავისი პროფესიული ცოდნა და უნარები.
- ჰქონდეს თანამედროვე პედაგოგიური მეთოდებისა და ტექნოლოგიების მიმართ ინტერესი და ღიაობა.
- აქტიურად განიხილავდეს ახალ მიდგომებს, რათა შეიტანოს ინოვაციები ადრეული განათლების პრაქტიკაში.

14. მშობელთა მონაწილეობა ბაღის საქმიანობაში

მშობლები საბავშვო ბაღის ცხოვრების განუყოფელი და აქტიური მონაწილეები არიან. მათი ჩართულობა ხელს უწყობს ბავშვების სწავლისა და განვითარების პროცესს, აძლიერებს მშობლებსა და აღმზრდელებს შორის თანამშრომლობას და ქმნის ჰარმონიულ გარემოს, რომელიც მაქსიმალურად ხელს უწყობს ბავშვთა კეთილდღეობას.

მშობელთა რესურსების გამოყენება და ჩართულობა

მშობელთა რესურსების მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია ბაღის საქმიანობაში. მშობლებს ხშირად აქვთ უნიკალური ცოდნა და გამოცდილება, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ საგანმანათლებლო პროცესის გასამდიდრებლად.

ერთობლივი აქტივობები და პროექტები

ბაღი და მშობლები ერთად ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს, რომელიც საგანმანათლებლო პროცესს საინტერესოსა და სახალისოს ხდის:

- **მხიარული სტარტები** – სპორტული და საგანმანათლებლო აქტივობები, რომელიც აერთიანებს მშობლებს, ბავშვებსა და აღმზრდელებს.
- **საქველმოქმედო ღონისძიებები** – მშობლებისა და ბავშვების მონაწილეობით საქველმოქმედო პროექტების განხორციელება.
- **ტრანდისციპლინარული თემები:** მაგალითად, პროექტი „პროფესიები“, სადაც მშობლები ჯგუფებს აცნობენ თავიანთ საქმიანობას და ეხმარებიან ბავშვებს ახალი თემატური მიმართულებების შესწავლაში.

მშობელთა შესაძლებლობების შესწავლა

მშობელთა ჩართულობის გასაადვილებლად სასურველია მათ წინასწარ შეავსონ კითხვარი, სადაც მიუთითებენ, როგორ შეიძლება ჩაერთონ ბაღის საქმიანობაში, მაგალითად:

- ბავშვებისთვის წიგნების კითხვა ან ხელოვნების აქტივობების ჩატარება.
- სიმღერის, ხელნაკეთი ნივთების ან მეცნიერების თემაზე მუშაობა.

- პროფესიული გამოცდილების გაზიარება ბავშვებისა და აღმზრდელებისთვის.

მოხალისეობრივი ჩართულობა

მშობლების ჩართულობა შეიძლება მოიცავდეს აღმზრდელის ასისტენტობას, ექსკურსიების ორგანიზებას, ღია კარის დღეებში მონაწილეობას ან თემატური ღონისძიებების მხარდაჭერას.

მშობელთა ინფორმირება და ღია კარის პოლიტიკა

ბავშვთა კეთილდღეობის მიზნით, ბაღი ნერგავს ღია კარის პოლიტიკას, რაც მშობლებს საშუალებას აძლევს ნებისმიერ დროს, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ეწვიონ ბაღს და ჩაერთონ მის ყოველდღიურ პროცესებში.

ინფორმაციის გაზიარების არხები

- საინფორმაციო დაფები - რეგულარულად განახლებადი ინფორმაცია ბაღის სიახლეების, განრიგისა და ღონისძიებების შესახებ;
- სოციალური ქსელები და ვებსაიტები;
- ჯგუფური დახურული გვერდები სოციალურ ქსელებზე (მაგ., Facebook), სადაც განთავსებულია ბავშვების აქტივობების ფოტოები, ვიდეოები და მშობლებისთვის სასარგებლო ინფორმაცია;
- ბავშვების ნამუშევრების გამოფენები, რაც მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, უკეთ დაინახონ მათი ჩართულობა ბაღის აქტივობებში.

შეხვედრები და ანგარიშები

მშობლებსა და მასწავლებლებს შორის რეგულარული შეხვედრები უზრუნველყოფს ბავშვის განვითარების შესახებ ინფორმაციის გაცვლასა და სამომავლო მიზნების შეთანხმებას.

ინდივიდუალური შეხვედრები

- წელიწადში ორჯერ ტარდება მშობლებისა და აღმზრდელების შეხვედრები:
  - **შემოდგომაზე:** ბავშვის საწყისი პროგრესის შეფასებისთვის.
  - **სასწავლო წლის ბოლოს:** ბავშვის მთელი წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების შეჯამებისთვის.
- შეხვედრებზე მშობლებს წარედგინებათ ბავშვის პორტფოლიო, რომელიც მოიცავს:
  - ნამუშევრებს, დაკვირვების ჩანაწერებს, ფოტოებსა და ვიდეოებს.
  - საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დამატებითი შეხვედრების მოწყობა კონკრეტული საკითხების განსახილველად.

ყოველდღიური კომუნიკაცია

მშობლებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ აღმზრდელებს, მიიღონ ინფორმაცია ბავშვის ყოველდღიური აქტივობების, ქცევის და სწავლების პროცესზე.

მშობელთა განათლება

ბაღი დიდი მნიშვნელობას ანიჭებს მშობლების ცნობიერების ამაღლებას, რაც ბავშვის სწავლის პროცესში მათ როლს აძლიერებს.

თემები: ასაკობრივი თავისებურებები, ბავშვთა უფლებები, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, წიგნიერება და თამაშის როლი და სხვ.

მშობელთა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში

მშობლების ჩართულობა ბაღის ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღებაში აძლიერებს მათ მოტივაციას:

- **მიზნების შეთანხმება:** ბავშვის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების დასახვა აღმზრდელთან ერთად.
- **მშობელთა მოსაზრებების გათვალისწინება:** ეს ხელს უწყობს ბაღის საქმიანობის ოპტიმიზაციას და მშობელთა ჩართულობის გაზრდას.

შეჯამება

ევროპული საბავშვო ბაღის კურიკულუმი არის ორგანიზებული და საერთო მიზნის მისაღწევად გაერთიანებული ძალისხმევის შედეგი. მისი განხორციელებისთვის აუცილებელია, რომ ყველა მონაწილე — ბაღის ხელმძღვანელი, მეთოდისტი, აღმზრდელები, ასისტენტები, დამხმარე პერსონალი და მშობლები ერთად და შეთანხმებულად მუშაობდნენ. ამ ერთობლივი პროცესის მეშვეობით, საბავშვო ბაღის კურიკულუმი ხდება ეფექტური პლატფორმა, სადაც უსაფრთხო გარემო, ხარისხი, თანამშრომლობა და ურთიერთქმედება ქმნის საუკეთესო შესაძლებლობებს თითოეული ბავშვის განვითარებისთვის.